# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 30 მაისი, 2004 წელი. №122 (4851) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი





ქართველი გარგანტუა – რუსული ბიზნესის გოლიათი კახა ბენდუქიძე.

◎ ბიზნესფორუმი

# ნუ დააჩქარებთ მოვლენებს,

**ასე გვირჩევენ რუსი ბიზნესმენები და აღნიშნავენ, რომ ბევრი სახეობის ქართული ნაწარმი, თუნდაც ელმავლები, რუსეთში თურმე კვლავ პოპულარულია**

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ჩვენ გაგაცანით საქართველოში პირველ რუსულ ბიზნესკონფერენციაში მონაწილე ქართველ და რუს მეწარმეთა შეხედულებები იმ ეკონომიკური პოტენციალის ათვისების თაობაზე, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს და ორმხრივ სასარგებლოა ორივე სახელმწიფოს კეთილმეზობლური თანაცხოვრებისთვის. ჩვენ ამ თემას გაზეთის მომავალ ნომრებშიც განვაგრძობთ, რადგან ვთვლით, რომ ასეთი კავშირების განმტკიცებას ჩვენი ქვეყნისთვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.**

– ნუ დააჩქარებთ მოვლენებს და ნუ დააკონკრეტებთ, რომელ სფეროში ჩაიდება ინვესტიციები. ახლა მთავარია, რომ საქართველოს მიმართ გაგვიჩნდა ინტერესი და გამოიკვეთა კარგი პერსპექტივა, რათა საქართველოში ვიმუშაოთ. დღემდე ასეთი რამ არა თუ არსებობდა, არამედ ამის ნიშნებიც კი არ შეიმჩნეოდა და საქართველოსკენ გამოხედვაც არავის სურდა. – ამ სიტყვებით დაასრულა ჩემთან საუბარი პირველ რუსულ ბიზნესკონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ ჩამოსულმა ცნობილმა რუსმა ბიზნესმენმა ვიქტორ ვაქსელბერგმა.


იხ. მე-3 გვ.


◎ კვირის თვალსაწიერი

# სულ თვალებდაჭყეტილი ჩვენი მტერი იყოს!

**ნათქვამია, თვალი ჭამს და თვალი სვამსო. მართლაც. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა სამხედრო აღლუმმა თვალი კიდეც „დაანაყრა“ და კიდეც „დაარწყულა“.**

ჩვენ გვახსოვს გრანდიოზული სამხედრო აღლუმები რუსთაველის პროსპექტზე – საბჭოთა საომარი ძალის დემონსტრირება.

ისინი გაკვირვებასა და შიშს იწვევდნენ იმავდროულად, მაგრამ არა – სიხარულს.

წლევანდელი 26 მაისის აღლუმმა კი სწორედ სიხარული განაცდევინა ხალხს. სიხარული იმის გამო, რომ საქართველოს თურმე, მართლაც, ჰყავს საკუთარი არმია და ფლოტი. ჯერჯერობით, მცირერიცხოვანი, სუსტად შეიარაღებული, მაგრამ მაინც ერთიანი, შეკრული სამხედრო ორგანიზმი, რომელსაც შეუძლია ბრძანების მიღება და შესრულება. რაც მთავარია, იგი უკვე იძლევა იმედს, რომ ხვალ კიდევ უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება.

ტელეეკრანზე საგანგებოდ ვაკვირდებოდი სამხედრო წესისამებრ საფეთქელთან ხელმიდებულ საქართველოს პრეზიდენტსა და შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალს და ჩემთვის იმ წუთებში ის ნაკლებად ჰგავდა ერთსაც და მეორესაც. თითქოს პატარა ბიჭს ვხედავდი, რომელსაც საყვარელი სათამაშო მოუტანეს და აღარ იცის სიხარულით რა ქნას.

და მშვენივრად მესმოდა მიხეილ სააკაშვილისა. ის ზეიმობდა ქვეყანაში მისი ძალისხმევით დამყარებული ხელისუფლების ზეობას, მის მიერ ქვეყნის გასაერთიანებლად გადადგმულ პირველ წარმატებულ ნაბიჯს, ამ არმიის, ამ სამხედრო ძალის შექმნაში განივთებულ თავის შრომას.

დამოუკიდებელ საქართველოს ჯერ არასდროს წარმოუდგენია საჯარო სახილველად ასეთი ძალა: 8000-ზე მეტი გაწვრთნილი ოფიცერი და ჯარისკაცი, 110 ჯავშანჯგუფი, 70-ზე მეტი საარტილერიო, საზენიტო-საარტილერიო და საზენიტო-სარაკეტო დანადგარი. ათობით სამეთაურო ავტომანქანა, 6 „სუ-25“, 11 საბრძოლო შვეულმფრენი...

მერე – ბათუმი: სამხედრო ფლოტის დათვალიერება...

იმ დღეს არავინ დარჩენილა გულგრილი. ხალხი იყო გაამაყებული და იმედმოცემული: მათ ნახეს ჩვენი, ქართული, ბრძოლისუნარიანი, ნამდვილი არმია და არა სუროგატი, მხოლოდ სააღლუმოდ შეკოწიწებული.

მართალია, სახელმწიფოს დღეს ყოველი თეთრი საგულდაგულოდ დასათვლელი აქვს, მაგრამ ალალი იყოს ის 650 თუ 675 ათასი ლარი, რომელიც ამ აღლუმის მოწყობას მოხმარდა – მან ხალხს დიდი სიხარული აჩუქა.


იხ. მე-2 გვ.


◎ ინფორმაცია

### „ქორთიარდ-მარიოტიდან“ – წინანდალში

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე რუსული ბიზნესკონფერენციის პლენარული სამუშაო სხდომა გუშინ დასრულდა. რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები ქართველ ბიზნესმენებთან ერთად წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში გაემგზავრნენ, სადაც კონფერენცია ოფიციალურად დაიხურება.

კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლევან ვასაძემ მადლობა გადაუხადა მონაწილეებს ორდღიანი მუშაობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

დღეს დაგეგმილია რუსი და ქართველი ბიზნესმენების შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან, რომელიც საქართველოში მათ საქმიანობას დალოცავს. საღამოს კი რუსი ბიზნესმენები საქართველოდან გაემგზავრებიან.

### კომპიუტერული კლასი – საჩუქრად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია დღეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვევა. მინისტრი ბათუმის უნივერსიტეტში გააკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“ და ასოციაცია „გრენა“ ბათუმის უნივერსიტეტს საჩუქრად კომპიუტერულ კლასს გადასცემენ.

კლასი 20 ულტრათანამედროვე კომპიუტერით იქნება აღჭურვილი, რომლებიც მაღალი სიჩქარის ინტერნეტქსელში ჩაერთვება. ქსელით ერთი წლით სარგებლობის საფასურს კი დონორები წინასწარ გადაიხდიან.

ინტერ-პრესი.

## დღეს ნომერშია:


„აფხაზეთის დაბრუნებისკენ მიმავალი გზა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე გადის“ გვ. 3.

დიდი ხნის ნანატრი სახელმძღვანელო გვ. 4.

წალკაში გაზაფხულმა დაიგვიანა გვ. 5.

გაზეთის დანართი გვ. 7-10.


## უკანასკნელ საათს

**ერაყელ პატიმრებს „ალ-მატარის“ ციხეშიც აწამებდნენ**

ეს განაცხადა ამ ციხის ყოფილმა ტუსაღმა ქიაზიმ ალ-ხუსნიმ. ამ ქალის თქმით, უმოწყალოდ სცემდნენ და ამცირებდნენ ქალებს, მოხუცებსა და მოზარდებს. ამერიკელთა საქციელი გააკიცხეს ლათინური ამერიკის, კარიბის აუზისა და ევროკავშირის ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრის წარმომადგენლებმა.



## ინტერპანორამა



**„ალ-ყაიდას“ ტერორისტები, რომლებმაც ელ-ხუბარში სასაკლაო გამართეს, განადგურებული არიან**

ამ ჯგუფის ლიკვიდაციის დროს დაიღუპა და დაიჭრა საუდის ცხრა პოლიციელი და სპეცსამსახურის თანამშრომელი. ტერაქტებისას დაიღუპა ექვსი უცხოელი: ბრიტანელი, ამერიკელი, სამი ფილიპინელი და ეგვიპტელი ბიჭი.



**ზონდმა ROSETTA-მ წყალი აღმოაჩინა კომეტა ლინეარის ატმოსფეროში**

„Rosetta-ს მთელი ისტორიის მანძილზე პირველი ზონდია, რომელიც თვალყურს ადევნებდა „ციურ კაბადონს“, ხანგრძლივად მიფრინავდა რა ამ კომეტის პარალელურად“, – იუწყება ევროპის კოსმოსური სააგენტო.

◎ კვირის თვალსაწიერი

# სულ თვალებდაჭყეტილი ჩვენი მტერი იყოს!

(პირველი გვერდიდან)

ყოველი დღე გვაახლოებს 20 ივნისს, როცა აჭარაში არჩევნები უნდა გაიმართოს. საქართველოს პარლამენტმა მანამდე (18 ივნისამდე) უნდა მიიღოს აჭარის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს განსაზღვრავს და ცენტრისა და რეგიონის უფლებამოსილებას საბოლოოდ გამიჯნავს. აჭარის დროებითმა საკოორდინაციო საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო: ორპალატიან პარლამენტს ერთპალატიანი უზენაესი საბჭო შეცვლის. მას 30 დეპუტატი ეყოლება (18 პროპორციული, 12 – მაჟორიტარი). ცნობისათვის: 2001 წელს არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც 50 დეპუტატისაგან შედგებოდა (რესპუბლიკის პალატაში – 40, სენატში – 10 დეპუტატი), 8 მაისს გაუქმდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით და არჩევნებამდე პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა დაწესდა. მიმდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები, სახელმწიფო დაწესებულებათა აპარატის თანამშრომელთა შემცირება...

ამასთან იკვეთება, რომ აჭარაში პროცესები მაინცდამაინც „გლუვად“ და სიამტკბილობით არ მიმდინარეობს, ამას თუნდაც ის მათქმევინებს, რომ პრეზიდენტის რწმუნებულმა აჭარაში ლევან ვარშალომიძემ რუმინეთიდან დაბრუნებისთანავე (სადაც ის საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ახლდა მიხეილ სააკაშვილს) დახსნა ბათუმის მერის, დემოკრატ ედვარდ სურმანიძის მიერ თანამდებობებზე დანიშნული ადამიანები.



მაგრამ საქართველოს პარლამენტში ერთიანი სიით გასული სახელისუფლებო ბლოკის „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ შიგნით წინააღმდეგობა არა მხოლოდ ნაციონალებსა (პრეზიდენტის ფრთა) და დემოკრატებს (პრემიერ-მინისტრის ფრთა) შორის იჩენს თავს, არამედ თვით ნაციონალებს შორისაც. ქვემო ქართლისა და კახეთის ნაციონალი გუბერნატორების წინააღმდეგ აგორებული ბრძოლა, ფაქტობრივად, სწორედ თანაპარტიელთა წიაღში იშვა. პრობლემები აქვს იმერეთის გუბერნატორსაც, თუმცა მისკენ სხვა მხრიდან უბერავს ქარი.

ისე რომ, პრეზიდენტს ნაციონალური მოძრაობის ხომალდის ალაგ-ალაგ გაგლეჯილი აფრების დროულად დაკერება ან შეცვლა მოუწევს. წინ საგულისხმო მაგალითი გვაქვს: ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება ერთიანი ნებისა და გუნდური მოქმედების პრინციპის უქონლობამ დაამარცხა.

აჭარის „ვარდების“ რევოლუციამ სხვა გამარჯვებათა მიღწევის იმედი წარმოშვა.

თუ საქართველოში კიდევ ერთი რევოლუციაა მოსალოდნელი, ის აფხაზეთში მოხდებაო, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა რუმინეთში ყოფნისას (თუმცა იქვე დაუმატა, რომ საქართველო არავის ემუქრება).

რამდენად არის აფხაზეთში რევოლუცია, მით უფრო „ვარდების რევოლუცია“, დღესდღეობით მოსალოდნელი, ძნელი სათქმელია, მაგრამ აჭარასთან შედარებით აფხაზეთის საკითხის გადაჭრა გაცილებით თავსატეხი პრობლემა რომ არის, უტყუარია. აქედანვე შეიძლება თქმა, რომ აჭარის მოდელი არამც და არამც მისაღები არ იქნება აფხაზებისთვის, რომლებიც ამ 10-11 წლის განმავლობაში მიეჩვივნენ „დამოუკიდებლად“ (ანუ, რუსეთის ფრთებქვეშ) ცხოვრებას. ამიტომ მათ უფრო მეტს, „ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს“ სთავაზობენ. აქ პარადოქსი ის არის, რომ ავტონომიის ეს „ჯერ არგაგონილი“ ვარიანტი, რომელსაც ქართული მხარე, ანუ ხელისუფლების ოფიციალური პირები აფხაზებს სთავაზობენ და ისინი უარს ამბობენ (ჯერჯერობით მაინც), მაინცდამაინც მისაღები არც ქართველთა უმრავლესობისთვის უნდა იყოს: ესაა აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველოს შემადგენლობაში, დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტით, საკუთარი ფულის ნიშნებითაც კი...

მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ყველაფერი მოსკოვში გადაწყდება. უნდა მოგვცემს, უნდა – არა. ახლახან გაზეთმა „ფაინენშელ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია მოქნეული სათაურით – „საქართველოში სეპარატისტების ბედი ვლადიმერ პუტინის ხელშია“. მასში ნათქვამია, სამხრეთ ოსეთის ბედი უმეტესწილად რუსეთის პრეზიდენტზეა დამოკიდებული, სამხრეთ ოსეთიც და აფხაზეთიც, რომელთა სეპარატისტული ადმინისტრაციების მთავარი ამოცანაც რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა, იმართებიან როგორც რუსეთის ტერიტორიებიო. მათი მცხოვრებლების მომავალი იმაზეა დამოკიდებული, დათანხმდება თუ არა ვ. პუტინი ამ ტერიტორიების საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებაზე. მართალია, რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ არ აღიარებს საქართველოს სეპარატისტულ რეჟიმებს, მაგრამ, ამავე დროს, აგრძელებს ამ სეპარატისტული რეჟიმების წახალისების აქტიურ პოლიტიკასო.

საზოგადოების დიდი დაინტერესება მოჰყვა ამ დღეებში რუსი ბიზნესმენების თბილისში ჩამოსვლას ბიზნესკონფერენციაზე და საქართველოსთან საქმიან დიალოგს. ხელისუფლება ქართულ საწარმოებში რუსული კაპიტალის მოზიდვას ცდილობს. საზოგადოების ერთ ნაწილში კი ეს გარკვეულ შიშს ბადებს. მაგრამ თავისთავად ჩნდება კითხვა: ქვეყნის სუვერენიტეტისთვის რატომ უნდა იყოს საშიში მაინცდამაინც რუსული კაპიტალი და არა, ვთქვათ, ამერიკული ან გერმანული? აქედან თავისთავად გამოდის დასკვნაც: ინვესტიციებს პოლიტიკური მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს...

შიშს დიდი თვალები აქვს!

სულ თვალებდაჭყეტილი ჩვენი მტერი იყოს!

[illegible]ანიშვილი.

◎ აზრი

# აფხაზეთიდან არჩეული დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია

**აფხაზეთი დღეს დე ფაქტო სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს. ერთადერთი დამაკავშირებელი ძაფი საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციაა.**

განვლილი წლების მანძილზე ის არაერთხელ იყო პარლამენტში აფხაზეთის პრობლემის განხილვის მოთავე, რომელიც სთავაზობდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზებს. ამასთანავე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისია (ვ. ყოლბაია) სისტემატურ მუშაობას სწევდა კონფლიქტის მოწესრიგების საშუალებების ფორმისა და მეთოდების საძიებლად, არაერთგზის შეუთავაზებია პარლამენტისათვის საკუთარი კონკრეტული წინადადებები. აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატები კონფლიქტის მოწესრიგების გზების საძიებლად მართავდნენ შეხვედრებს რუსეთში, უკრაინაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ბელგიაში (ვ. ყოლბაია, ა. მარშანია და სხვ.). აფხაზეთის დეპუტაცია თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათი ძალისხმევითაც გახდა შესაძლებელი ქართველებს შორის ეროვნული თანხმობის მისაღწევად დიალოგის დაწყება და შერიგების ერთობლივი გზების ძიება.

სამწუხაროდ, დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსი სვამს კითხვას – რა გააკეთა აფხაზეთის დეპუტაციამ კონფლიქტის მოსაგვარებლად? ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას შემხვედრი კანონიერი კითხვა – რა გააკეთეს აფხაზეთის ტრაგედიის 12 წლის მანძილზე საერთაშორისო თანამეგობრობამ, გაერომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებმაც მიიღეს 30-ზე მეტი რეზოლუცია აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების საკითხზე? რა გააკეთეს საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის, ასევე ეუთო-ს, სუეამის წევრებმა და სხვებმა, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდნენ კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ შეხვედრებსა და მსჯელობებში? ფაქტობრივად, არაფერი! რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკას და დიპლომატიას, ეს საკითხი, ჯერჯერობით, ვერც მან მოაგვარა, თითქოს ჩნდება იმედი, რომ მალე მოგვარდება.

ვფიქრობ, აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებს არ უნდა მოეხსნათ უფლებამოსილება, რათა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ კონფლიქტის მოგვარების დიდ ეროვნულ საქმეში. აფხაზეთის წარმომადგენლობის გაუქმება პარლამენტში ნიშნავს, აფხაზეთის ხელისუფლების ერთადერთ წარმომადგენლად დარჩეს მხოლოდ ძალადობით მოსული სეპარატისტული ხელისუფლება.

**მარიამ ლორთქიფანიძე.**

◎ ცხელი თემა

# „აფხაზეთის დაბრუნებისკენ მიმავალი გზა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე გადის“

**მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური გუნდი მოვიდა, ქართულ ჯარს შეემატა ის, რაც წლების განმავლობაში აკლდა – პოლიტიკური ნება, არსებობდეს ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი – ძლიერი ჯარი. ახალმა ხელისუფლებამ ჯარი სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოაცხადა. ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი რომ ძლიერი შეიარაღებული ძალებია, ამ მიდგომის სისწორეზე არავინ კამათობს. დღეს ბევრს საუბრობენ შეიარაღებული ძალების რეალურ რეფორმირებაზე და იმ სასიკეთო ძვრებზე, რომლებიც ახალ ქართულ არმიას უკვე დაეტყო. ამის ნათელი დასტური იყო 26 მაისს გამართული საზეიმო აღლუმი.**

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზებსა და ოსებს მშობლიურ ენაზე მიმართა, რითაც მათ მიმართ მეგობრული ჟესტი, პატივისცემა გამოხატა. პრეზიდენტმა მათ მეგობრობის ხელი გაუწოდა და მათსავე ენაზე მშვიდობისკენ მოუწოდა. გარდა ამისა, ამ ჟესტის მიღმა, შეიძლება ვიგულისხმოთ ის მინიშნება, რომ აფხაზურ და ოსურ ენებს, მათ კულტურას არაფერი ემუქრებათ, უფრო მეტიც, შეუნარჩუნდებათ ავტონომიურობაც; ოღონდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში.

ქართული მხარე აფხაზებს ფართო უფლებებს სთავაზობს. საქართველოს ხელისუფლების მიერ მომზადებული დოკუმენტი აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას გულისხმობს. დოკუმენტი შეიქმნა ე. წ. „ბოდენის გეგმის“ მიხედვით, სადაც აფხაზეთი განხილულია როგორც სუვერენული სახელმწიფო დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში. ამ გეგმას მხარს უჭერენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შუამავლები – გაერო, აშშ და დიდი ბრიტანეთი. საქართველოს ხელისუფლების მიერ შედგენილ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მხარეები უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე და ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას ემხრობიან, სადაც აფხაზეთს ფართო უფლებები ექნება. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის პოზიცია კი არ იცვლება. საქართველოს შემადგენლობაში ნებისმიერი სტატუსით დაბრუნებაზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკა უარს აცხადებს. მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, რომ აფხაზეთის გასაღები რუსეთში „დევს“.

კულუარული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში იმყოფებოდა, შეეცადა დაეყოლიებინა რუსული მხარე ოფიციალური თბილისის წინადადებაზე, რომ აფხაზეთში რუსული ბიზნესინტერესების სანაცვლოდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას. კერძოდ, ქართული მხარე მოითხოვს აფხაზეთში საკუთარი იურისდიქციის აღდგენასა და დევნილთა დაბრუნებას, რის განსახორციელებლადაც აუცილებელია მოსკოვის პოლიტიკური მხარდაჭერა. კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ზურაბ ჟვანია მოსკოვიდან კონკრეტული პასუხით ჩამოვიდა.

აფხაზეთის დაბრუნების გეგმის პირველი კონტურები უკვე გამოიკვეთა, რომელიც, უწინარესად, ეკონომიკური ფაქტორით იქნება განპირობებული. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ აღლუმზე სამხედრო ძალის დემონსტრირებას წინ უძღოდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ აფხაზეთის დაბრუნებისკენ მიმავალი გზა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე გადის. ეკონომიკის მეშვეობით აფხაზეთის დაბრუნების შედარებით რეალური გზა რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის დანარჩენ საქართველოსთან შეერთებაა. ამ საკითხს რუსეთი მიხეილ სააკაშვილის მიერ თურქეთში გაკეთებული განცხადებების შემდეგ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს. თურქეთ-საქართველოს რკინიგზის მშენებლობის პერსპექტივამ სერიოზულად შეაშფოთა სომხეთისა და რუსეთის ხელისუფლება, რომელთა ინტერესებში, პირველ რიგში, სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მარშრუტის ამოქმედება შედის. რუსეთი მზადყოფნას აცხადებს, სოჭის სამშვიდობო ფორმატის გაძლიერებას და გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებას – პარალელურად სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს.

იხ. მე-3 გვ.

◉ ბიზნესფორუმი

# ნუ დააჩქარებთ მოვლენებს

(პირველი გვერდიდან)

**მართლაც, ქართველები ცოტა სულსწრაფები კი ვართ, ყველაფერი დღეს, ამ წუთში გვინდა გაკეთდეს, ბიზნესს კი თავისი კანონები აქვს.**

**სხვისი რა მოგახსენოთ და, მე ნამდვილად არ ვფიქრობდი, რომ რუს ბიზნესმენთა, რაგინდ წარმომადგენლობითი დელეგაციაც არ უნდა ჩამოსულიყო თბილისში, პირველივე დღეს მილიარდებს თავზე გადმოგვაყრიდა. ეს უფრო გაცნობითი ხასიათისა გახლდათ და, ვფიქრობ, დიდი საქმეც გაკეთდა.**

როგორც ვიცი, გარკვეული პროექტთა მონახაზებიც გაკეთდა, თუმცა, მოდით, ამაზე ნუ დავკონკრეტდებით, დაველოდოთ შედეგს. ეს საქართველოში რუს ბიზნესმენთა ბოლო ვიზიტი არ არის. როგორც საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში კოტე კემულარია შენიშნავს, აქ მყოფ რუს ბიზნესმენთა უმრავლესობას საქართველოში ხშირად მოუწევს საქმიანი სტუმრობა, რადგან ისინი აქ სერიოზული ინვესტიციების ჩადებას გეგმავენ.

როგორც ბატონი კოტე კემულარია განმარტავს (მას კონფერენციის დასასრულ ფორუმის მუშაობის შედეგების შეფასება ვთხოვე), საქართველოს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადების შემდეგ საელჩო ამ ფორუმის თბილისში გამართვას სამი თვის განმავლობაში ამზადებდა რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენ ლევან ვასაძესა და რუსეთ-საქართველოს საქმიანი საბჭოს წევრებთან ერთად. მართლაც, უნიკალური ბიზნესფორუმი გამოვიდა, რუსეთის საქმიანი წრეების ამ დონის შეხვედრა თანამეგობრობის ქვეყნების ქვეყნებში ბოლო წლების განმავლობაში არ გამართულა.

თბილისში იმყოფება გერმან გრეფი – რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრი, ყველა იმ ეკონომიკური რეფორმის ავტორი, რომელიც ბოლო დროს ასეთი წარმატებით ხორციელდება რუსეთში. აქ საგანგებოდ ჩამოვიდა კულტურის მინისტრი ალენდრ სოკოლოვი, მთავრობის სხვა წევრები, რაც საქართველოში რუსეთის მთავრობისა და საქმიანი წრეების ერთობლივ ინტერესს უსვამს ხაზს.

ეს არ არის კერძო ინიციატივა, რომელიც არ იცის რუსეთის მთავრობამ და არ გახლავთ მთავრობის ინიციატივა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ პოლიტიკასთან. საბედნიეროდ, ამჯერად საქმიანი წრეებისა და ინვესტიციების მომგებიანად განაწილებასთან გვაქვს საქმე, რაც საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავის სასარგებლოდ.

დღეს, როგორც ბატონი კოტე კემულარია განმარტავს, რუსეთის საქმიან წრეებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ საქართველოს მთავრობის ბიზნესისადმი მხარდაჭერის სწორ, დინამიურ დამოკიდებულებაზე, რაც ჩვენი ქვეყნისადმი მათ კეთილგანწყობას აყალიბებს. სხვაგვარად ეს ხალხი აქ არ ჩამოვიდოდა. ვიქტორ ვაქსელბერგს, კახა ბენდუქიძეს, დავით იაკობაშვილს, აეროფლოტის ხელმძღვანელობას, ვლადიმერ ევტუშენკოვს, სერგეი გენერალოვს, რუსეთის ბიზნესის გრანდებს აქ ჩამოსვლას ვერავინ აიძულებდა. მათ ვერავინ ვერაფერს ვერ კარნახობს, ისინი თავის საქმეში არავის ემორჩილებიან. ეს ვიზიტი მართლაც მათი შინაგანი კარნახით, საქმიანი ვითარების გაცნობის სურვილით იყო განპირობებული. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა გავამახვილო ჩვენი ხალხის ყურადღება, რომ ეს მომენტი ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ამის თაობაზე კონფერენციის გახსნის დროს ვრცლად ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტმა და გვთხოვა გაგვეცნო მათთვის საქართველოს მთლიანი ბიზნესგარემო, გავაცნოთ კონკრეტული ადამიანები, რადგან საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შეუძლიათ მათთვის მხოლოდ მუშაობის პირობების შექმნა საგადასახადო კანონმდებლობის, კორუფციასთან ბრძოლისა თუ სხვა თვალსაზრისით. ისინი ძალზე დაინტერესდნენ იმით რომ საქართველოს მთავრობა, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, არასოდეს აღარ ჩაერევიან ბიზნესმენთა საქმეში. რუსი ბიზნესმენები კმაყოფილებას არ მალავენ საქართველოში კანონიერების დამკვიდრების პროცესის მიმდინარეობით და სურთ დარწმუნდნენ ამ პროცესების შეუფერხებლობაში. ჩვენ კი ვიცით, რომ ეს პროცესი შეუქცევადია, მაგრამ ახლა ისინი უნდა დავარწმუნოთ ამაში, რაც უდავოდ კარგ შედეგს გამოიღებს.



ამის შემდეგ მთავარია, მათ პირადი კონტაქტი დაამყარონ ქართველ ბიზნესმენებთან, იმ საწარმოს ხელმძღვანელებთან, რომლის პრივატიზების პროცესი უნდა დაიწყოს საქართველოში და იმ ბიზნესპირობების გაცნობა, სადაც მათ სურთ ინვესტიციის განხორციელება. ინტერესი რომ მართლაც დიდია, ამას მოსკოვში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ამ რამდენიმე დღის წინანდელი ვიზიტიც მოწმობს, რომელმაც ძალზე საქმიან ვითარებაში ჩაიარა. მოვიყვან თუნდაც რკინიგზის, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მაგალითს. იქ რუსეთის რკინიგზის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თბილისში დამზადებული ელმავალი „ვლ-15" დღესაც პოპულარულია რუსეთის, თანამეგობრობისა და მთლიანად ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანა, და ეს უზარმაზარი ეკონომიკური სივრცეა, დაინტერესებულია, რომ ქართული ელმავალი იყიდოს. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი ათასი ადამიანი დასაქმდება, რამდენი დამხმარე საწარმო ამუშავდება, როცა ასეთ სოლიდურ შეკვეთებს მიიღებს ჩვენი ქარხანა?

დღეს ამ საკითხის გადასაწყვეტად თბილისში რუსეთის რკინიგზის პრეზიდენტის დავალებით მისი პირველი მოადგილე იმყოფება, რათა შეისწავლოს ქარხნის მდგომარეობა და ბიზნესგარემო. მას შემდეგ, რაც მას მოახსენებენ აქ არსებულ ვითარებას, როგორც ვიცით, რამდენიმე დღეში თავად რკინიგზის ხელმძღვანელიც აპირებს ჩამოსვლას. ეს შეიძლება იყოს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტი, რომელიც ქვეყანაში ათასობით ადამიანის სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

უდიდესი პერსპექტივაა კვების მრეწველობისა და კვების პროდუქტების გადამმუშავებელ მრეწველობაში. ამ ბიზნესში, წვენების, რძის პროდუქტების, თუ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელ მრეწველობაში რუსეთში ჩვენი თანამემამულე დავით იაკობაშვილი ბაზრის დიდ სეგმენტს აკონტროლებს. კომპანია „ვინბლდანის" პროდუქციას ყველა იცნობს რუსეთში, რადგან იგი აწარმოებს ყველაზე პოპულარულ, ეკოლოგიურად სუფთა რძის პროდუქტებს, წვენებსა და სხვა ნაწარმს.

მე ზემოთ ვახსენე ბატონი გენერალოვი, რომელიც წარმოადგენს საკომუნიკაციო სისტემებს და აერთიანებს რუსეთის ბაზარზე მომუშავე თითქმის ყველა მობილური კავშირგაბმულობის სისტემებს და, თავად წარმოიდგინეთ რა მოცულობის კაპიტალბრუნვაც ექნება. იგი ასევე აერთიანებს სამასამდე უზარმაზარ კომპანიას, რომლებიც მუშაობენ სატელეკომუნიკაციო სისტემების, ტურიზმისა და თუ სხვა სფეროში.

იგი დაინტერესებულია საქართველოში ინვესტიციის შემოტანით.

მან ეს გუშინ თავად დაადასტურა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლის დროს.

როგორც ბატონი ელჩი აღნიშნავს საქართველოშია ასევე არკადი ვოლსკი – რუსეთის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე, მას იცნობს ქართული საზოგადოება.

ტურიზმი საქართველოს ხვალინდელი ეკონომიკის გაუმჯობესების ერთ-ერთი ღერძია, ძალზე საინტერესოდ წარმოჩინდა ამ ფორუმზე. ტურიზმის განვითარება საქართველოსთვის სასიცოცხლო ინტერესია. ამ მხრივაც საინტერესოდ ვითარდება მოვლენები, რუსული ინვესტიციები ჩაიდება მომსახურების სერვისის გაზრდის, ახალი ბაზებისა თუ სხვა ინფრასტრუქტურის შესაქმნელად მომზადებულ პროექტებში.

აი, ეს ყველაფერი ერთად და სხვა უამრავი საკითხი, რომლის ჩამოთვლა მცირე დროში ვერ მოესწრება, შედიოდა ამ ფორუმის ინტერესებში. ეს არის ჩვენი და რუსეთის ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობის საფუძველი. შეიძლება ვინმემ იკითხოს, რუსეთს საქართველოში ამ დონის პროექტების განხორციელება რაში აინტერესებსო, მაგრამ მერწმუნეთ რუსეთს ეს ყოველივე, რაზედაც ვისაუბრეთ, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის, ჩვენი და რუსი ხალხის დამოკიდებულების გამო, ძალიან აინტერესებს. იმ ფაქტმა, რომ დათბა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, საოცარი გამოხმაურება ჰპოვა რუსეთის რიგითი მოქალაქეების მხრიდან. თქვენ უნდა ნახოთ ის წერილები, რომელთაც მე ყოველდღე ვიღებ, წაიკითხოთ ჩემს ინტერნეტმისამართზე შემოსული გზავნილები, თუ როგორი გამოხმაურებებია ბატონი მიხეილ სააკაშვილის მისამართით.

აბსოლუტურად შეიცვალა რუსეთში ჩვენი მოქალაქეებისადმი ადგილობრივთა განწყობა. სხვაგვარი დამოკიდებულებაა პრესაშიც. იშვიათად იბეჭდება მწარე-მწარე სტატიები, რაც ადრე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რუსეთის დუმაში უკვე სხვაგვარი მიდგომებია საქართველოს პრობლემების მიმართ. ასე რომ საქართველოს ავტორიტეტი რუსეთში თანდათან იზრდება, რაც იქ მცხოვრებ ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზეც აისახება.

ეს ყოველივე არის ის, რაზეც ჩვენ ყველანი ვოცნებობდით, რომ პატარა საქართველოს დიდ რუსეთთან ჰქონოდა თანასწორუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობა. შედეგი მიღწეულია და ახლა ამ ურთიერთობას კიდევ უფრო განმტკიცება სჭირდება, რისთვისაც საქართველოს ხელისუფლება დღენიადაგ ზრუნავს და ამ ურთიერთობის შედეგს ყოველი ქართველი იგრძნობს.

საქართველოს ელჩი რუსეთში ჩემი თხოვნით შეეხო აფხაზეთის საკითხსაც, შეიცვალა თუ არა რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი და რა როლი შეუძლიათ ითამაშონ ამ კონფლიქტის მოგვარებაში რუსმა და ქართველმა ბიზნესმენებმა?

როგორც ბატონი კოტე კემულარია აღნიშნავს, როდესაც დაძაბული ურთიერთობა იყო რუსეთსა და საქართველოს შორის და ამ დროს რუსეთი, დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე, ყველა დონეზე – გაეროში, ევროსაბჭოში თუ სხვაგან აცხადებდა, რომ ის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს არ ჟღერდა დამაჯერებლად, მაგრამ დღეს როდესაც გაუმჯობესდა პოლიტიკური ურთიერთობა, საქმიანი, ნდობის ატმოსფერო ჩამოყალიბდა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის, როდესაც დაპირისპირება იცვლება ეკონომიკური ურთიერთობებით, ეს განცხადებები, რომ რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამ კუთხით განიხილავს აფხაზეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის მოწესრიგებას, დამეთანხმეთ, ამას აბსოლუტურად სხვაგვარი ეფექტი აქვს, რაც დადებით განწყობას ქმნის რუსეთის საზოგადოებაში.

ერთადერთი, რასაც შეიძლება დავარქვათ სიფრთხილე, რასაც იჩენენ მედიაში და საზოგადოებაში, ეს არის ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

მე, როგორც საქართველოს ელჩი რუსეთში, მუდმივად ვხვდები საზოგადოებას, გამოვდივარ პრესითა თუ ტელევიზიით, ხაზს ვუსვამ, რომ ჩვენ ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტა, ისევე როგორც აჭარაში, მშვიდობიანი გზით გვსურს. ნელ-ნელა ეს აზრი ფეხს იკიდებს რუსეთშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, აფხაზეთშიც, ნელა, მაგრამ იცვლება მათი დამოკიდებულებაც, რაც ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების იმედს სულ უფრო ზრდის.

* * *

**გუშინ, ნაშუადღევს, საქართველოში პირველი ბიზნესკონფერენცია დასრულდა.**

**რუსი სტუმრები კახეთში, წინანდალში გაემგზავრნენ, სადაც, ალბათ, საკუთარი თვალით ნახავენ და [illegible] მზიური საქართველოს მადლიანი**

◉ ცხელი თემა

## „აფხაზეთის დაბრუნებისკენ მიმავალი გზა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე გადის"

(მეორე გვერდიდან)

ამასთან, რუსეთი არ გამორიცხავს გალის რაიონში ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნის შესაძლებლობასაც, რაც ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების წინაპირობა გახდება. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენელთა ლოგიკით კი „საჭიროა, აფხაზეთთან დაკავშირებით განიხილონ არა პოლიტიკური საკითხები, არამედ ეკონომიკური. საჭიროა, აფხაზეთის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე საუბარი, რკინიგზისა და ენერგეტიკის აღდგენა". ესე იგი, მათი განსჯით, საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს და, ამავდროულად, მათი ეკონომიკის აღორძინებაზეც უნდა იზრუნოს. მაგრამ საქართველო ცალ კარში თამაშს არ აპირებს. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ეკონომიკურ ფორუმზე რუსი ბიზნესმენების მოწვევა მიზნად ისახავს შექმნას რუსეთში ძალა, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთის ინტეგრირებას ხელს შეუწყობს. თუ რუსულმა ბიზნესელიტამ, რომელსაც როგორც რუსულ ბიზნესწრეებზე, ისე რუსულ პოლიტიკურ წრეზეც დიდი გავლენა აქვს, ჩათვალა, რომ საქართველოში ინვესტიციების ჩადება ღირს, ექსპერტების აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სულ მალე იძულებული გახდება აფხაზეთის ძველებურ მხარდაჭერაზე ხელი აიღოს.

**მზია გელენავა.**

◉ სიტუაცია

### „იტერა" უპიროზოდ გადაცემას მოითხოვს

**სახელმწიფო ვალების ჩამოწერის სანაცვლოდ რუსული კომპანია „იტერა" „აზოტის" აქციათა 90 პროცენტის უპირობოდ გადაცემას მოითხოვს. ამის შესახებ გუშინ რუსეთის ბიზნესკონფერენციაზე ნავთობისა და გაზის კომპანია „იტერას" ხელმძღვანელმა ვალერი ოჩერცოვმა განაცხადა.**

მისი თქმით, ქართულ სახელმწიფო ორგანიზაციებს „იტერას" 46 მილიონი დოლარი მართებთ.

– ჩვენ მზად ვართ, რომ საწარმოს პროფილი შევინარჩუნოთ, უახლოესი ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი დოლარის ინვესტიციებს განვახორციელებთ და წარმოებას სრულ სიმძლავრეზე გავიყვანთ, – თქვა მან.

„იტერას" „აზოტის" აქციათა 90 პროცენტი უკვე პრივატიზებული აქვს, მაგრამ საპრივატიზაციო ხელშეკრულება შვიდი წლით არის განსაზღვრული. თუ „იტერა" ხელშეკრულების ვალდებულებებს შვიდი წლის ვადაში ვერ შეასრულებს, მაშინ მას აქციები არ გადაეცემა.

ინტერ-პრესი.

◉ აშუღის ხსოვნა

## მიპატიჟება ვარდობაზე



დღეს, 11 საათზე, თბილისის სურბ გევორქის (წმინდა გიორგი) სომხურ ეკლესიაში გაიმართება საიათნოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ვარდების დღესასწაული, 13 საათზე კი იქვე, დიდი აშუღის საფლავზე, დაიწყება სახალხო ზეიმი.

◉ უკან ჰრჩეს კვალი...

# დიდი ხნის ნანატრი სახელმძღვანელო

**1944 წლიდან სრულიად ახალგაზრდა – 27 წლის კონსტანტინე წერეთელს მიენდო ძველი ებრაული ენის სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შვიდიოდე წლის შემდეგ ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა ბედნიერება მოესმინა ეს კურსი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის განყოფილებაზე. იდგა მძიმე ხანა, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოებრივი ანტისემიტიზმის მძვინვარების ხანა, რომელიც საქართველოში, კერძოდ, თბილისში ებრაელთა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (ერთადერთი ებრაული სამეცნიერო ცენტრის) დარბევით დაგვირგვინდა.**

აი, ასეთ პერიოდში უძღვებოდა კონსტანტინე წერეთელი – შემდგომ სემიტოლოგიის განყოფილების გამგე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ებრაულ-არამეული კათედრის გამგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკადემიკოსი, მსოფლიო სახელის მქონე არამეისტი – ბიბლიის ებრაულის კურსს. იმხანად, ნამდვილად, შემდგომ შეძენილი ამ დონის ავტორიტეტიც კი არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ ებრაული ენის სახელმძღვანელოს იდეა განხორციელებულიყო. ასე რომ, მრავალი წლის მანძილზე ებრაისტიკის სტუდენტები მოკლებული იყვნენ მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოს და კვლავ და კვლავ სტუდენტური ჩანაწერებით კმაყოფილდებოდნენ. საბედნიეროდ, პროფესორის ლექციები ყოველთვის ამომწურავი იყო, კულტუროლოგიური წიაღსვლებით გამდიდრებულ-გაცოცხლებული, კეთილმოუბარი, დაუზარებელი ლექტორი, სიყრმიდანვე არჩეული დარგის ენთუზიასტი, ჩვენ თითო-ოროლა სტუდენტის პირისპირ მჯდარი, არ კმაყოფილდებოდა ამ ნამდვილად უცხო ენის უჩვეულო ანაბანის და საქცევების ახსნა-განმარტებით და სემიტური სამყაროს ფართო თვალსაწიერს გადაგვიშლიდა.

დღეს უნივერსიტეტის ებრაულ-არამეული კათედრის სტუდენტებს და არა მხოლოდ მათ, არამედ ყველას (ქართველი იქნება თუ ქართველი ებრაელი), ვისაც კი ამოძრავებს ინტერესი ბიბლიური ენის მიმართ, ხელში უჭირავს განსვენებული პროფესორის მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის ნაყოფი, მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომი. წიგნი – **„ბიბლიის ებრაული გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი“** (2001) დაიბეჭდა საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნის თარიღის აღნიშვნის მომწყობი სახელმწიფო კომისიის ინიციატივით და ხელშეწყობით, და მიძღვნილია იგი ამ სახელოვანი თარიღისადმი ამგვარი წარწერით **„ეძღვნება საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 2600 წლისთავს“.** და ნამდვილად, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი ისტორიული წიგნია.

სახელმძღვანელოს შესავალი არათუ სტუდენტისთვის, არამედ მოყვარულისთვის, რომელთა რიცხვი საქართველოში არცთუ მცირეა, ბევრ სასარგებლო ცნობას იძლევა ენათა, თუ შეიძლება ითქვას, ამ ეგზოტიკური ოჯახის შესახებ. დაინტერესებული პროფანი (ნეიტრალური აზრით) ვერც ერთ სხვა ქართულენოვან წიგნში ვერ მიიღებს ისე დაწურულ და ამავე დროს, ამომწურავ პასუხს კითხვებზე, თუ რა ნიშნებით ხასიათდება ჯერ სემიტურ ენათა ჯგუფი მის მთლიანობაში და მერე ებრაული ენა. ქართულად დაწერილი ებრაული ენის სახელმძღვანელოსთვის თავისი ადგილი უნდა ეჭიროს ქართველ ებრაელთა ენობრივ სამყაროს, კერძოდ, ბიბლიის კითხვის მათებურ ტრადიციას ან არტიკულაციას ბიბლიური სიტყვების თუ საკუთარ სახელთა წარმოთქმისას.



რა მოწმობას იძლევა ოცდაექვსსაუკუნოვანი მყოფობა ებრაელი ხალხისა საქართველოში ბიბლიური ენის ფონეტიკურ ჟღერადობაზე? წიგნში ზოგადად იმას ვგებულობთ, რომ ქართველ ებრაელთა წარმოთქმა არქაულ ვითარებას ინახავს, იმ ეპოქის გამოთქმას, როცა ბიბლიის ებრაული სამეტყველო ენა იყო. ეს გარემოება სავსებით ეთანხმება ქართულ საისტორიო წყაროს, რომლის თანახმადაც, ებრაელთა პირველმა ტალღამ საქართველოში ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისში მოაღწია, და ეს ის დრო იყო, როცა ებრაული თავისუფალი იყო არამეულის გავლენისგან, რომელმაც ბაბილონის ტყვეობის შემდეგ ყოფაში ებრაული შეცვალა. ამრიგად, ქართველ ებრაელთა მეტყველება არა მხოლოდ არამეულისგან არის შეუხებელი, არამედ მასზე ნაკლები გავლენა მოუხდენია მასორელთა მიერ დაკანონებულ ტრადიციას. ავტორი იმასაც ვარაუდობს, რომ ზოგიერთი თანხმოვნის გამოთქმის კონსერვატულობა ქართული გარემოთიც ყოფილიყო განპირობებული. ქართველ ებრაელთა არტიკულაციაში დღემდე შემონახულია ბიბლიური პერიოდის სხვაობა ფშვინვიერ და ემფატიკურ თანხმოვნებს შორის (ქ, თ-კ, ტ), რაც წაშლილია თანამედროვე წარმოთქმაში. უფრო მეტიც: ქართველმა ებრაელებმა შეინარჩუნეს დამწერლობაში შემონახული უძველესი და იშვიათი მჟღერი ფარინგალური ბგერა ქართული ყ-ს გავლენით (მაგ., ყაზარია, თანამედროვე გამოთქმით: აზარია). ასევე, მხოლოდ ქართველი ებრაელები წარმოთქვამენ „აბრამ“, „იაკობ“ და არა „ავრამ“, „იაკოვ“ და სხვა, როგორც დასავლურ და საყოველთაოდ ისრაელურ გამოთქმაშია.

სახელმძღვანელო სამი ნაწილისგან შედგება. ესენია: გრამატიკა, ქრესტომათია და ლექსიკონი. თუმცა კვადრატული ანბანის ტაბულა მკითხველს აცნობს ებრაული კვადრატული ანბანის ასონიშანთა მნიშვნელობებს, მაგრამ ებრაული სიტყვების ფონეტიკური ჰაბიტუსის ადვილად აღსაქმელად ავტორი წიგნის პირველ ნაწილში შიგადაშიგ მათ ტრანსლიტერაციის სახით გვთავაზობს. ავტორი გვაცნობს ენის თავისებურებებს, გვამზადებს, რათა შევძლოთ დედანში ბიბლიის წაკითხვა. მაგრამ ეს არცთუ ადვილი ამოცანაა, რომ მოძღვრის შემწეობის გარეშე შეგვეძლოს თამამი ნაბიჯების გადადგმა.

რის წაკითხვას შეძლებს ნეოფიტი საკუთარი ძალების დაძაბვით, რის ვაივაგლახით, თუ მოძღვარმა სახელმძღვანელოს ანაბარა მიატოვა იგი? მოძღვარმა შეურჩია მას მრავალფეროვანი (ჟანრული თვალსაზრისით) მასალა ბიბლიის ამოურწყავი საგანძურიდან. ეს არის პროზაული ტექსტები „დაბადების“ წიგნიდან: ექვსი დღის შესაქმე, პირველწინაპართა შეცოდების ამბავი, კაენი და აბელი, წარღვნა; საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი, რომელიც გვიამბობს იაკობისა და მისი ოჯახის ამბავს, იოსების თავგადასავალს, მათ ჩასვლას ეგვიპტეში. მას მოსდევს „გამოსვლათა“ წიგნიდან: მოსეს გამოჩენა და ისრაელიანთა ეგვიპტიდან გამოსვლის ამბავი. „მეფეთა“ წიგნებიდან წავიკითხავთ სახელოვანი დავით მეფის და არანაკლებ სახელოვანი მისი ძის სოლომონის ამბებს. პოეტური ნაწილიდან მოძღვარი გვთავაზობს საუკეთესო ფსალმუნებს (1, 7, 15, 23, 24), რჩეულს „იგავთაგან“, „ქებათა ქებას“ და, ბოლოს, თუმცა ქრონოლოგიურად წინ უძღვის „მეფეთა წიგნებს“, „რუთის წიგნს“ მთლიანად, რადგან დაუზიანებლად მისგან ამოღება ერთი სიტყვისაც კი შეუძლებელია.



მოძღვარს უმეგზუროდ არ მიუტოვებია მოწაფე. სახელმძღვანელო მან აღჭურვა აუცილებელი მესამე ნაწილით – ლექსიკონით. ვცადოთ და გრამატიკული ნაწილის დამუშავების შემდეგ ლექსიკონის მოშველიებით შევუდგეთ კითხვას.

დიდი ხნის ნანატრი სახელმძღვანელო უკვე არსებობს და ემსახურება თავის საქმეს. მისი ავტორი ცოცხლობს მასში. არაფერი, ადამიანის ხელიდან გამოსული, სრულყოფილი არ არის და არც ავტორს უფიქრია, რომ მისი წიგნი სრული და უნაკლო იქნებოდა. მან გამოსცა იგი ამ სახით და იმ იმედით (ასეა ყოველთვის), რომ შემდგომ გამოცემებში გაასწორებდა შენიშნულ ხარვეზებს.

ამგვარი წიგნის სიცოცხლის განგრძობა-განახლების პირობა მისი ახალ-ახალი გაუმჯობესებული გამოცემებია. ეს კი მოძღვრის მოწაფეთა ვალია.

**ზურაბ კიკნაძე.**

◉ პროფკავშირი

# პრეზიდენტის მადლობა ღვაწლის ღირსეული დაფასებაა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირი მალე ჩაატარებს მორიგ ყრილობას, რომელზეც შეჯამდება ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა. უკვე წელიწადი ხდება, რაც დარგს სათავეში ჩაუდგა ქალბატონი ციცო ჯაფარიძე. მან პროფკავშირში მოსვლისთანავე ვრცელი სამუშაო პროგრამა წარუდგინა აქტივს და ბევრი რამეც გაკეთდა კონკრეტულად, რის თაობაზეც საზოგადოებამ კარგად იცის.**

სწორედ პროფკავშირის ინიციატივით დამტკიცდა პოლიგრაფისტის, წიგნისა და ბიბლიოთეკის დღე, ფინანსური დახმარება გაეწიათ პენსიაზე გასულ, დაუსაქმებელ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ კულტურის დარგის მუშაკებს, სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა ხელფასები გაუთანაბრდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა ხელფასებს, და რაც მთავარია, შეჩერდა კულტურის სფეროში დასაქმებულ მუშაკთა 20-პროცენტიანი შემცირება და ბიბლიოთეკების პრივატიზაციის დანაშაულებრივი პროცესი...

ახლახან საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შემდეგი შინაარსის წერილი გამოუგზავნა ციცო ჯაფარიძეს:

**„ქალბატონო ციცო,**

**დიდი მადლობა მინდა, გითხრათ იმ განსაკუთრებული სითბოსა და ნდობისთვის, რომელიც თქვენს წერილშია გამოთქმული. ასეთი ნდობა და მხარდაჭერა „ვარდების რევოლუციისა“ წინასაარჩევნო დღეებში მე უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს.**

**იმ დიდ საქმეს, რომელსაც ჩვენ ერთად შევეჭიდეთ, საქართველოს ყველა მოქალაქის თანადგომა და რწმენა სჭირდება. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეძლებს ჩვენი ქვეყანა ღირსეული ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო თანამეგობრობაში.**

**მინდა, გჯეროდეთ, რომ მუდამ თქვენს გვერდით ვიქნები და ძალ-ღონეს არ დავიშურებ საქართველოსა და მისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ“.**

**პატივისცემით**

**მიხეილ სააკაშვილი.**

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის აქტივმა, მისმა თითოეულმა წევრმა საქართველოს პრეზიდენტის წერილი აღიქვა როგორც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების დიდი ნდობა და მხარდაჭერა. მართლაც დიდი სტიმული გახლავთ ის, რომ პრეზიდენტს შეუმჩნეველი არ რჩება იმ ადამიანების ძალისხმევა, რომლებიც ქმედით დახმარებას უწევენ მძიმე სოციალური ყოფით შეჭირვებულ თანამოქალაქეებს, უანგაროდ ეხმარებიან მათ. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის ნდობა დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს დარგის პროფკავშირის მესვეურებს, რომლებიც მალე წარუდგენენ ქვეყნის ხელისუფლებას შემდგომი საქმიანობის სრულიად ახალ კონცეფციას.

ამრიგად, მრავალი რამ გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტი საქმე გასაკეთებელია, რათა თითოეულმა სოციალურად ნაკლებად დაცულმა მოქალაქემ რეალურად იგრძნოს იმ ორგანიზაციის თანადგომა, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირი ეწოდება.

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის პრესსამსახური.**

◉ აბჯარი

# იტალიური სამხედრო ამუნიცია – ქართულ ჯარს

**საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა 40 პროცენტს იტალიის მთავრობა შემოსავს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წელს იტალიის მთავრობისგან 8 მილიონი ევროს ღირებულების 138 დასახელების სანივთე ქონება მიიღო.**

თავდაცვის სამინისტროში გუშინ სამხედრო ამუნიციის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, სადაც წარმოადგინეს ჯარისკაცისა და ტექნიკური პერსონალისთვის განკუთვნილი ტანსაცმლის, მაღალყელიანი ფეხსაცმლისა და სხვა სანივთე ქონების ის ნიმუშები, რომლებიც თითქმის ყველა სამხედრო ნაწილში დარიგდება.

იტალიიდან მიღებული ამუნიციით პირველ რიგში ის ახალწვეულები შეიმოსებიან, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში მიმდინარე საგაზაფხულო გაწვევის დროს გაიწვიეს.

**ინტერ-პრესი.**



◎ მხარე

# წალკაში გაზაფხულმა დაიგვიანა

### ცხორ-მეცხვარეს გაუმარჯოს

თეთრი წყაროს გზას რომ დავადექით, თეთრი ქარავანი აგვემგზავრა.

მწვანედ მოხასხასე, დილის მზით გაბრწყინებულ ფერდობებს ჯოგებად შეფენოდა საზაფხულო საძოვრებისკენ დაძრული ცხვრის ფარები.

ლილისფერი ცისქვეშ თეთრად ბრწყინავდნენ თოვლის ყაბალახიანი თრიალეთის ქედები.

ცხვრის ფარამ ერთგან გზა გადაგვიკეტა.

ავტობუსიდან ჩამოვედით. გამხდარ, ფაფახიან მეცხვარეს მივესალმე.

— კარგი მგზავრობა თუ გაქვთ, ცხვარი ბევრი გყოლია.

— ღვთის წყალობით მრავლობს. ნება-ნება მივლალავთ, ბალახი უხვადაა, არ გვეჩქარება...

წალკაში ჩასვლამდე თეთრი ქარავანი არ დაგვშორებია.

ესეც ხომ ქვეყნის სიმდიდრეა.

### გამარჯობათ, წალკელებო!

წალკისკენ მიმავალი გზის ლამაზი, მაგრამ თითქმის ერთფეროვანი პეიზაჟი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლებს საკმაოდ შეუცვლიათ.

თეთრი ქარავანის პარალელურად შავად მორიალე დიდრონი მილები გაწოლილა მთელ სიგრძეზე. ექსკავატორები, ბულდოზერები, მძიმე წონის უცხოური მანქანები არღვევენ საუკუნოვან მყუდროებას... მათ ახალი სიცოცხლე, ოცდამეერთე საუკუნის სუნთქვა შემოაქვთ კლდეკარისა თუ სამშვილდის ციხე-კოშკთა საუფლოში.

ერთი სიკეთეც — სრულიად ახალი გზა გაუჭრიათ, მამაპაპური ქვაღორღით ნაფენი, თანაც მანძილი შეუმოკლებიათ. წალკაში ჩასვლა აღარ ჭირს და ეს დიდი შვებააო, — მოგვიანებით გვითხრეს მასპინძლებმა.

რაიონში რომ ჩავედით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი ზეიმი უკვე დაწყებულიყო. სტადიონზე, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ გახმაურებული სკანდალი მოხდა, ქართული სიმღერები გუგუნებდა.

— გამარჯობათ, წალკელებო, მშვიდობა თქვენდა!..

რუსთაველთა სტუმრობით გაიხარეს, მერე ალალად თქვეს, ამდენი სტუმარი, ასეთი ზეიმი ჯერ არ გვქონიაო.

ბერძნულ-სომხური ხმები აქ ორი საუკუნე ისმოდა. აი, ორასი წლის წინათ მტრის ხელით ამოძირკვული ქართული ჰანგები პირველად აჟღერდა ასეთი ომახით, სილაღით, აგუგუნდა მოყვასის გასახარად, მომავლის იმედად, აღორძინებად...

### კარგი ვაჟკაცია გამგებელი...

...თანაც იმ სიმაღლისაა, როცა თავაწეული ესაუბრები, კისრის მალები თუ არ დაგეღალა, კარგი გაძლებაა.

— მაინც რა მოხდა, როგორა ხართ, საქმე როგორ მიგიდით? — მივაყარე კითხვები.

— ხომ ხედავთ, ზეიმი გვაქვს, სტუმრებს ვხვდებით, — კეთილი ღიმილით სახეგაბადრულმა მოკლედ მოჭრა რაიონის თავკაცმა და თავისი სიმაღლიდან ხალხის გაჭედილ ხასხასა სტადიონს გადახედა, — ცუდ რამეს ატყობთ, არ უხარიათ, არ ილხენენ?

მიხეილ ცქიტიშვილი ადგილობრივი კაცია, ამ მთების შვილი. ამ თვალწარმტაცი სილამაზიდან ამონაზარდი; ამ საზღაპრო მხარის სილაღე და სიკეთე.

— კი, დღეს ასეა, მაგრამ...

— რაო, ძმა ძმას არ წაჩხუბებია? იყო რაღაც, ფეხბურთს მოჰყვა, ჰო, მართლა, დღეს რაიონის ნაკრები მარნეულელებს მასპინძლობს, აი, ნახეთ რა მატჩი გავმართოთ.

— კვამლი უცეცხლოდ არ არის, არ ჩნდება. ეგ ისეთი საქმეა, სახელმწიფოს საფრთხეს რომ შეუქმნის... — ეჭვი არ მასვენებს, ადრეც, წინა წლებში მსმენოდა რაღაც შეხლა-შემოხლის ამბების მაგვარი, მაგრამ მაშინ ჩქმალავდნენ.

— დამიჯერეთ, არ ღირს ამაზე ხმაური, ყველაფერი კარგადაა!..

— მაშ ეს ჯარი რაღაა, ადრე აქ ჯარი არ იდგა.

— რომ არ იდგა, ისაა ცუდი... ეს ქვეყნის სამხრეთის საზღვარია, სამხრეთის კარიბჭე, ქართული ლაშქარი აქ ოდითგან იდგა. ეგ ციხე-კოშკები, ბურჯები იმისთვის აღუმართავთ. როცა მხედრობა მოიშალა, მაშინ დავკარგეთ ეს მხარე... ამიერიდან აქ ქართული ჯარი იდგება...

### როგორა ხარ, ჯარისკაცო?

მიხეილი ხელიდან გამომტაცეს, სხვაგან უხმეს. მას უამრავი საქმე აქვს. იქვე კარგად ჩადგმული, მოჭიდავის მხარბეჭიაბის დღეს ვულოცავ, ისიც თბილად მიპასუხებს. თავს მაცნობს, ვიქტორ არაგალოვი ვარო. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკი აღმოჩნდა.

მაინც რა მოხდა-მეთქი, თქვენთან ამას წინათ, — უხერხული კითხვა გამომივიდა. ამაზე საუბარი არც ღირსო და მოსავალზე, საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობაზე პროფესიული ინფორმაციებით ამავსო. წლეულს რომ გაზაფხული გვიან მოვიდა, ამაზე წუხს, მაინც ყველაფერი დროზე მოვასწარით, 6 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა დავამუშავეთ. დავთესეთ ქერი, ხორბალი, მთავარი მაინც კარტოფილიაო. კარტოფილი, ისიც ჩვენებური, ისეთი კარგიაო... თურმე წალკაში იმდენი მიწა ყოფილა, ყველა რომ დაამუშაო და კარტოფილი მოიწიო, მთელ საქართველოს ეყოფა. ეს კი პირველად შევიტყვე...

ბატონი ვიქტორი იმაზეც წუხდა, რომ წინა ხელისუფლებამ მიწები უკანონოდ გაასხვისა, აჭარიდან და სვანეთიდან ჩამოსახლებულთ კუთვნილი ფართობები ვერ შეხვდათ, ხალხს საარსებო წყარო თუ არ გაუჩინე, ოჯახებს როგორ შეინახავენ?



ნი სამხედრო შევნიშნე, — თქვენ რასა იქმთ, თავს როგორ გრძნობთ-მეთქი.

რუსთაველი გიორგი სარიშვილი, ასეულის ზემდეგი გამოდგა.

— ჩვენ — რუსთავის შინაგანი ჯარის ქვედანაყოფი მოგვავლინეს, ჩვენს მიწა-წყალს ვდარაჯობთ, — შემომცინა, — თელავის ბატალიონი შევცვალეთ... თავიდან, ცოტა არ იყოს, რიდით შეგვხვდნენ, აქაურები ჯარისკაცებს არ იყვნენ შეჩვეულნი... ერთ ღამეს საწვრთნელი ვარჯიში ჩავატარეთ. წვრთნის პროგრამით გათვალისწინებული ცეცხლიც გავხსენით. რამდენიმე დღე გარეთ არ გამოდიოდნენ. მალე გავუშინაურდით. ის კი არა, პურ-მარილიც მოაქვთ, გვიმასპინძლდებიან.

— ამბობენ, იარაღიც აქვთ, მძიმე ტექნიკაცო.

— ეგ ჩვენც ვიცით. წაგვეტრაბახნენ, ჩვენ თქვენზე მეტი იარაღი გვაქვს. ხომ არ შევეჯიბროთო, ხუმრობით შევთავაზეთ. ეს იყო და ეს. ისე იარაღის ამოღებაც მოგვიხდება, ალბათ... ჯერ მუდმივი ჯარის ბაზა უნდა შევქმნათ, შევსებას ადგილობრივი წვევამდელებით ვაპირებთ. დღეს კი წესრიგს ვიცავთ, ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი კანონს უნდა ემორჩილებოდნენ. აქ პრობლემები უკვე აღარ არის. ხომ ხედავთ, რა ზეიმია, როგორ უხარიათ, ქართველებთან ერთად სომხებიც, ბერძნებიც, აზერბაიჯანელებიც არიან.

ოფიცრის ნათქვამის დასტურად სახელდახელო სცენიდან სომხური, ბერძნული და აზერბაიჯანული სიმღერებიც აჟღერდა.

### რას მეტყვი, ბატონო ვიქტორ!

კი, ბატონო, მასპინძლებმა ყველაფერი ვარდისფრად დაგვისურათხატეს, მაგრამ ესენი ქართველები არიან. პირველ შემხვედრ სხვა ეროვნების კაცს ვუახლოვდები. ვესალმები. გამარჯვე-

მან ამ საქმის დროულად გადახედვა ითხოვა. და კიდევ, — ჩვენ, ბერძნები ჩვენს ისტორიულ სამშობლოში, საბერძნეთში ვბრუნდებით, იცლება ქალაქი, სოფლები, მათ პატრონი სჭირდებათ, არ გვინდა ჩვენი ნალოლიავები ეზო-კარი გაპარტახდეს, ნასახლარი წაიშალოს. ამაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ხელისუფლებამ წლების მანძილზე ვერა და ვერ შეიმუშავა წალკაში სტიქიით დაზარალებულთა რეაბილიტაციის სრულყოფილი პროგრამა.

ბოლოს ისიც მითხრა, წალკაში ეროვნული შუღლი არასოდეს ყოფილა და არც იქნება, შეიძლება ვიღაცეები კი იყვნენ ამის მოსურნე, მაგრამ ტყუილად ნუ იოცნებებენო.

### არსენ ჯმუხაძეც წალკელია

ბატონი არსენა განათლების განყოფილების გამგის მოვალეობას ასრულებს. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მრავალეროვნული მოსახლეობის პრობლემები და ინტერესები.

— პედაგოგები გვჭირდება, — პირველი თვითონ შემეხმიანა, — მარტო ქართული სკოლებისთვის კი არა. ქართული სკოლების რიცხვი 17-მდე გაიზარდა. ორიოდე წლის წინათ ერთადერთი იყო. წლეულს სექტემბერში კიდევ სამ ახალ ქართულ სკოლას გახსნიან. მაგრამ პედაგოგების სიმწირეა. რაიონში სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემაა, არც ბერძნებმა, არც სომხებმა და არც აზერბაიჯანელებმა ქართული არ იციან. ძველები რუსულს კი ფლობენ, მაგრამ ახალგაზრდებმა თავიანთი ნაციონალური ენის გარდა, არა იციან რა და ურთიერთობის სადავეები გვეკარგება.

— მაშ რა ვქნათ?

— ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები გვჭირდება. ჩვენ მათ საუკეთესო პირობებს ვთავაზობთ. საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნებიან, სახლ-კარს გაიჩენენ, ანაზღაურებაც მაღალი ექნებათ.

რამდენჯერმე გამიმეორა, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები წამოგვეშველონო და ახლა მივმართავ ჩვენს უმუშევარ პედაგოგებს, იმათაც, რაღაც ათი თუ ოცი ლარი რომ აქვთ: წალკაში ორას-სამასლარიან ხელფასს გპირდებიან, იჩქარეთ!..

### და მაინც, პრობლემები

ზეიმი ფინიშს მიუახლოვდა, ამჯერად ფეხბურთელები ასპარეზობენ. წალკელთა ნაკრებში ერთად იბრძვიან ქართველები, ბერძნები, სომხები, აზერბაიჯანელები, სტუმრები ძალიან შეავიწროვეს და მიხეილმაც ჩემთან სასაუბროდ მოიცალა, — მოსაგვარებელი და გასაკეთებელი ბევრი გვაქვს. უმთავრესი საზრუნავი მაინც ჩამოსახლებულთა დასაქმებაა. ადამიანები ოჯახებით დაფუძნდნენ. მრავლობენ და საარსებო საშუალება არ გააჩნიათ, მიწები არ ჰყოფნით, არადა, ამდენი მიწაა მოცდენილი.

— მერე?

— საქმე ის არის, რომ წინა ხელისუფლების დროს ათასობით ჰექტარი ფართობი ვიღაც-ვიღაცეებმა მიისაკუთრეს, თითქმის გოჯი არ დატოვეს პრივატიზაციის გარეშე. ჩვენ მათი განაწილების იურიდიული ბაზა არა გვაქვს. ხელისუფლებამ თუ გზა არ გვიჩვენა, ვერას გავაწყობთ. გვაქვს უთვალავი ბუნებრივი სიმდიდრე, წიაღისეული, პემზა, პერელიტი, ბაზალტი, ოქროს საბადოც გაგვაჩნია, ბიზნესმენები კი ახლოსაც არ გვეკარებიან. არადა, მათი გადამუშავებით ასობით ადამიანი დასაქმდებოდა. დღეს წალკაში ხუთი ათასი ოჯახის ჩამოსახლება შეიძლება. რამდენადაც ვიცი, მარტო საპატრიარქოში 800-მდე მსურველია, ჩვენც ბევრი მოგვმართავს, ჩვენთან დამკვიდრების სურვილი აქვთ მაღალმთიანეთის აჭარლებს, სვანებს, თბილისელებსა და რუსთაველებსაც კი, მაგრამ ხელისუფლებას კომპაქტურად დასახლების სახელმწიფო პროგრამაც არ გააჩნია. ამ მიზნით თანხა გამოყოფილია, მაგრამ როდის მივიღებთ, არ ვიცით... ნავთობსადენის კომპანია „ბიპიმ“ გზა კი გაგვიყვანა (ახლა თბილისთან დაკავშირება არ გვიჭირს), ამავე კომპანიამ ასობით ადამიანი კი დაასაქმა და ეს კარგი საქმეა, მაგრამ ესეც დროებითია, მილსადენს ჩადებენ და...

— როგორ ფიქრობთ, წლეულს ახალმოსახლენი თუ შემოგემატებიან?

— უეჭველად. თუ ჩვენიდან წასული ბერძნების სახლ-კარს დროულად არ დავეპატრონეთ, არათუ ცალკეული სახლები, ეზო-კარი, მთლიანად სოფლები გაჩანაგდება.

— ვისი იმედი გაქვთ?

— პირველ რიგში — ხელისუფლების. ქვეყნის პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი პირადად დიდ ყურადღებას გვაქცევს. ასევე მთავრობაც, პარლამენტიც. ბოლო დროს მცირე და დიდი ბიზნესი საგრძნობლად გამოცოცხლდა, მალე დიდი აღმშენებლობა დაიწყება, დასჭირდებათ სამშენებლო მასალები, რაც ჩვენთან საკმაოზე მეტია. და კიდევ — ღვთისა და ხალხის ნების. აკი გითხარით, წალკას მარტო კარტოფილით საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა შეუძლია. ჩვენთან კი მარტო კარტოფილი როდია...

ხმა მიაწვდინეთ ყველას — მასწავლებლები გვჭირდება, განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი სპეციალისტები, რათა სახელმწიფო ენა აღზევდეს. სხვა დანარჩენის ნაკლებობას გავუძლებთ, ცოტას კიდევ მოვითმენთ.

**გივი ჯახუა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

---

◎ ინფორმაცია

განათლება

**სასკოლო სახელმძღვანელოების ახალი ნუსხა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ გუშინ კაფე „პარნასში“ სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასკოლო სახელმძღვანელოების ახალი ნუსხა წარმოადგინა.

— ახალი სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოებს ერთნაირი გრიფი განესაზღვრება. 1998 წლიდან გამოცემული ყველა სახელმძღვანელო, რომელიც სკოლებში ისწავლებოდა, სასწავლო პროგრამაში დარჩება“, — აღნიშნა ლომაიამ.

მისივე თქმით, ყველა ტიპის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიურმა, ან სამეურვეო საბჭომ სასწავლო საგნების მიხედვით შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა უნდა მოამზადოს და სასწავლო წლის დაწყებამდე სამინისტროს მიაწოდოს.

სამინისტრო მოუწოდებს მშობლებსა და მასწავლებლებს, სახელმძღვანელოები შეიძინონ შესაბამის მაღაზიებში და კანონით ნებადართულ სავაჭრო ადგილებში, რათა თავიდან იქნას აცილებული არალიცენზირებული და უხარისხო პროდუქციით ვაჭრობა.

ღონისძიებას განათლების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი, განათლების სისტემის რეფორმის წარმომადგენლები, პედაგოგები და გამომცემლები ესწრებოდნენ.

დაპატიმრება

**ზარბაზოია მეორედ დააკავეს**

გუშინ დილით, აჭარის შს სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს არსენ ზარბაზოია, რომელიც უშიშროების იზოლატორიდან ათწლიანი პატიმრობის შემდეგ, თენგიზ ასანიძის გამოშვებამდე ერთი თვით ადრე გაათავისუფლეს.

ზარბაზოია ამჯერად იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დააკავეს. მისი და — მაია ზარბაზოია, რომელიც „ჩვენი აჭარის“ ერთ-ერთი წევრია და რამდენიმე დღეში სარფიკვარიათის გამგებლად უნდა დანიშნულიყო, ძმის დაპატიმრებას მათი ოჯახის დისკრედიტაციად აღიქვამს.

კრიმინალი

**ქურდს ფაქტზე წაასწრეს**

წყალტუბოში გუშინ „მაგთიკომის“ კუთვნილი საბაზო სადგური გაქურდეს, საიდანაც რამდენიმე ცალი კონდიციონერი მოიპარეს.

აღნიშნულ დანაშაულში სამართალდამცველებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთში მცხოვრები შალვა ბუაძე ამხილეს და დააკავეს. პოლიციელებმა მას ფაქტზე წაასწრეს, როცა იგი ღამით ნაქურდალით გადაადგილდებოდა. სამართალდამცველები ამ დროს საპატრულო შემოვლას ახორციელებდნენ.

**არც სტუმარი დაინდო**

ქუთაისის საბაჟო ტერმინალზე, რომელიც ქალაქის შესასვლელში, სოფელ ქვიტირის ტერიტორიაზე მდებარეობს, სომხეთის მოქალაქის ერვან მირზოიანის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა გაქურდეს.

აღნიშნულ დანაშაულში სამართალდამცველებმა ადგილობრივი მცხოვრები გოჩა ონიანი ამხილეს, რომელიც ამჟამად მიმალვაში იმყოფება. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას პოლიციამ ამოიღო „აკაესის“ სისტემის ავტომატის ერთი მჭიდი 15 ვაზნით.

ონიანის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ინტერ-პრესი.

# „მოსადის“ საიტზე მიიღეს 2500 ანკეტა პოტენციური აგენტებისგან

**ისრაელის „მოსადის“ სადაზვერვო სამსახური ცდილობს თანამშრომლების დაქირავებას თავისი ინტერნეტ-საიტის მეშვეობით, რომელიც ერთი კვირის წინათ გაიხსნა.**

როგორც განაცხადა საიტის შემქმნელი სახელმწიფო სარეკლამო სააგენტოს წარმომადგენელმა ლიმორ ფრიდმანმა, სადაზვერვო სამსახურის ინტერნეტ-წარმომადგენლობის მუშაობის პირველი 48 საათის განმავლობაში მას უკვე მიმართა 350 ათასზე მეტმა კაცმა.

ელექტრონული ფოსტით მიღებულია 2,5 ათასზე მეტი ანკეტა იმ პირებისგან, რომლებსაც სურთ მუშაობის დაწყება „მოსადში“. გარდა ამისა, მიღებულია უამრავი წერილი, რომლებიც შეიცავენ „რჩევებს“ და „დაბეზღებებს“, თითოეულ ამ წერილს გულდასმით განიხილავენ, დასძინა ფრიდმანმა.

„მოსადის“ საიტი, რომელიც ინგლისურ ენაზე და ივრითზეა გახსნილი, შეიცავს ვაკანსიების ნუსხას. აღნიშნულ სიაში ფიგურირებენ ინჟინრის, პროგრამისტის, მძღოლის, მშენებლის, თვით ინგლისურენოვან ბარმენის ვაკანსიები.

საიტის შემქმნელები მოითხოვენ, აგრეთვე, რომ მათ მიმართონ ნებისმიერ იმ საკითხებზე, „რომელიც ეხება ისრაელის სახელმწიფო უშიშროებას“.

„მოსადი“ არ აპირებს გასცეს პასუხი ყველა წერილს, თუმცა აღნიშნავს, რომ სერიოზულად შეისწავლის მათ.



# გვადალახარის სამიტი შეტაკებებით დასრულდა

**შეტაკებები მოხდა მექსიკის ქალაქ გვადალახარაში, რომელშიც დასრულდა ევროკავშირისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების სამიტი. ამ ფორუმზე დასასწრებად გვადალახარაში თავი მოიყარეს 58 სახელმწიფოს ლიდერებმა.**

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი იძულებული გახდა გადაედო პრესკონფერენცია ქალაქში ამტყდარი უწესრიგობის გამო, რომლის დროსაც დემონსტრანტების კარგად ორგანიზებულმა ჯგუფმა პეტარდები დაუშინეს პოლიციელებს.

გაძარცვულია ქალაქის მრავალი მაღაზია და ბანკები; ქუჩები სავსეა ნაგვითა და ნამსხვრევებით.

დაახლოებით 20 კაცი დაიჭრა და 90-ზე მეტი დაპატიმრებულია. როგორც ხელისუფლება აცხადებს, გვადალახარაში ამ მღელვარების ორგანიზატორი სტუდენტური მოძრაობა იყო.

დემონსტრანტების გამოსვლებს პოლიციამ ძალისმიერი მეთოდები დაუპირისპირა; წესრიგის მცველებმა გამოიყენეს ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი და წყალსატყორცნები. და მაინც, ბრბოს გაფანტვას რამდენიმე საათი დასჭირდა.

იმის მიუხედავად, რომ სამიტის მიმდინარეობის დროს ქალაქში მიმართეს უშიშროების გამკაცრებულ ზომებს, უწესრიგობა მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა გვადალახარის მრავალი მცხოვრებისათვის. დაშავებულთა შორის არის ათობით მშვიდობიანი მოქალაქე და რამდენიმე პოლიციელი.

თვით შეხვედრის მონაწილეებმა კი შეძლეს მიეღწიათ მხოლოდ გარკვეული მორიგებებისათვის სავაჭრო რეფორმის სფეროში; ევროკავშირი საკმაოდ ფრთხილად მოეკიდა დიდი ოცეულის წინადადებებს (ეს არის განვითარებადი ქვეყნების ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგანან ინდოეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და ბრაზილია), რომლებიც ითვალისწინებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საბაჟო გადასახადების შემცირებას.

თუმცა, იმ საკითხებში, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკას ეხებოდა, სამიტის მონაწილეები ერთსულოვანი იყვნენ: ყველა ქვეყნის ლიდერი დაეთანხმა მიმართვას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, რომელიც მოუწოდებს ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას გააქტიუროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილეობა ერაყის აღდგენის საქმეში. სამიტის მონაწილეებმა, აგრეთვე, გამოთქვეს გულისტკივილი ერაყის საპყრობილეებში პატიმრების მიმართ მხეცური მოპყრობის გამო.

# საფრთხე რეალურია

**ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციისა და ეროვნული უშიშროების მინისტრებმა ჯონ ეშკროფტმა და ტომ რიჯმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ამერიკელებს აღუთქვეს, რომ მათი უწყებები მჭიდროდ თანამშრომლობენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

ეს განცხადება გახდა ამ უწყებათა მისამართით გამოთქმული კრიტიკის პასუხი. ზემოთ აღნიშნული უწყებები გააკრიტიკეს მას შემდეგ, რაც მთავრობამ გააფრთხილა მოსახლეობა, რომ ზაფხულის თვეებში მოსალოდნელია დიდი ტერორისტული აქტების განხორციელების საფრთხე.

გასულ ოთხშაბათს ჯონ ეშკროფტმა და გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა რობერტ მიულერმა განაცხადეს, რომ სპეცსამსახურებს აქვთ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „ალ-ყაიდა“ ამზადებს ახალ თავდასხმებს ამერიკის შეერთებულ შტატებზე და საზღვარგარეთ „ამერიკელთა ინტერესებზე“.

მათ აღნიშნეს, რომ ეს ცნობები მიიღეს საიმედო წყაროებისგან, თუმცა ჯერჯერობით არაფერია ცნობილი შესაძლო ტერორისტული აქტების განხორციელების დროის, ადგილისა და სამიზნეების შესახებ. ამავე დროს, ტერორისტული საფრთხის დონე, რომელიც შეერთებულ შტატებში 5-ბალიანი სკალით განისაზღვრება, არ ამაღლებულა. ამან გამოიწვია მთელი რიგი კონგრესმენების უკმაყოფილება, რომლებმაც გამოთქვეს საყვედური იმის გამო, რომ ადმინისტრაციამ ვერ განუმარტა მოქალაქეებს, თუ რამდენად სერიოზული შეიძლება იყოს საფრთხე.

გარდა ამისა, ტომ რიჯი არ დასწრებია ეშკროფტისა და მიულერის პრესკონფერენციას, რაც ბევრმა მიიჩნია იმის მინიშნებად, რომ არ არსებობს კოორდინაცია იუსტიციისა და ეროვნული უშიშროების სამინისტროებს შორის.

ბუნებრივია, რომ რიჯმა და ეშკროფტმა კატეგორიულად უარყვეს ასეთი მოსაზრება. „ჩვენ ვმუშაობთ ერთად და ვახორციელებთ ყველა ღონისძიებას ამერიკელების დაცვისათვის“, – განაცხადეს მინისტრებმა.

ტერორისტთა ავი ზრახვები ამერიკის მთავრობის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს იმის გამოც, რომ ზაფხულში შეერთებულ შტატებში დაგეგმილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიება, მათ შორის – „რვა დიდი ქვეყნის“ ლიდერების სამიტი ჯორჯიის შტატის სიაილენდის კუნძულზე, აგრეთვე, დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ეროვნული ყრილობები, რომლებიც ბოსტონსა და ნიუ-იორკში უნდა გაიმართოს.

# ელ-ჰუბარის გარეუბანში ექვსი უცხოელი მოკლეს

**საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ელ-ჰუბარის ერთ-ერთ გარეუბანში ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა დახვრიტეს ექვსი უცხოელი მოქალაქე. ამას იტყობინებოდა გაერთიანებული არაბული საამიროების თანამგზავრული ტელეარხი „ალ-არაბია“. ტელეარხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი დაღუპული უცხოელი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა.**

ინციდენტი მოხდა სანავსადგურო ქალაქ ელ-ჰუბარის გარეუბანში, პატარა ქალაქ ალ-რაქაში. თვითმხილველთა თქმით, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ავტომატური იარაღის ცეცხლი დაუშინეს დასავლეთის ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომლებს, რის შემდეგაც ავტომობილით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

„ალ-არაბიის“ მონაცემებით, თავდასხმის შედეგად დაიღუპა ექვსი უცხოელი, დაიჭრა, აგრეთვე, ორი საუდელი პოლიციელი, რომლებიც იცავდნენ ოფისს.

ელ-ჰუბარი არის საუდის არაბეთის ერთ-ერთი დიდი ნავსადგური სპარსეთის ყურეში, რომლიდანაც ხორციელდება ნავთობის ექსპორტი.

ელ-ჰუბარსა და მის გარეუბნებში განლაგებულია დასავლეთის ნავთობის კომპანიების ოფისები.

# პაკისტანმა გამოსცადა ბირთვული რაკეტა

**პაკისტანმა წარმატებით გამოსცადა საშუალო სიშორის რაკეტა, რომელსაც შეუძლია ბირთვული მუხტის გადატანა. ეს განაცხადა პაკისტანის ეროვნული შეიარაღებული ძალების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გენერალ-მაიორმა შაუქატ სულთანმა.**

„Half V“ რაკეტა, მისი ფრენის სიშორე 1500 კილომეტრს შეადგენს,



გაუშვეს დანადგარიდან, რომლის ადგილმდებარეობა მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

ეს გამოცდა განხორციელდა ერთ კვირაში მას შემდეგ, რაც ინდოეთში მოვალეობის შესრულებას შეუდგა ახალი მთავრობა. პაკისტანის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, ინდოეთის მხარეს აცნობეს რაკეტის გაშვებისათვის მზადების შესახებ.

„ჩვენ გვსურს რაკეტების ხარისხის გაუმჯობესება და ეს გამოცდაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება“, – დასძინა შაუქატ სულთანმა. რაკეტამ 900 კილომეტრ მანძილზე იფრინა და მოხვდა მიზანს.

პაკისტანი აცხადებს, რომ ქვეყნის სარაკეტო ჯარების განვითარებისათვის გამიზნული პროგრამა არის პასუხი ინდოეთის ანალოგიურ პროგრამაზე.

„Half V“ „მიეკუთვნება“ „Ghauri“ რაკეტების ოჯახს. რაკეტა ბოლოს პაკისტანში გამოსცადეს მიმდინარე წლის 9 მარტს. ეს იყო მყარსათბობზე მომუშავე „Shahecn ||“ ორსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც შეუძლია ერთტონიანი მუხტის 2500 კილომეტრ მანძილზე გადატანა.

# სტიქია კარიბის ზღვის კუნძულზე

**კუნძულ ჰაიტის მცხოვრებლები, რომელზეც განლაგებულია ორი სახელმწიფო – ჰაიტი და დომინიკელთა რესპუბლიკა – იხსენებენ, თუ რა უბედურება დაატყდა მათ თავს კოკისპირული წვიმებისა და წყალდიდობების შედეგად. ამ ბოლო დღეებში სტიქიური უბედურების გამო თითქმის უკაცრიელი გახდა კუნძულის ზოგიერთი რაიონი.**

სადღეისოდ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ სტიქიას ემსხვერპლა 900 კაცი, თუმცა ხელისუფლება აღნიშნავს, რომ ეს ციფრი საბოლოო არ არის, რადგან ამჟამად მრავალი ასეული ადამიანი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

უცხოური დახმარება – სურსათი, სასმელი წყალი და პირველი სამედიცინო დახმარების კომპლექტები – უკვე მიიღეს კუნძულის ყველაზე მეტად დაზარალებული რიაონების მცხოვრებლებმა, მაგრამ სინოპტიკოსთა პროგნოზი კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

ჰაიტის სოფელ მაპუს ათასობით მცხოვრები აღნიშნავს, რომ მრავალი საათის განმავლობაში ისინი ხის ტოტებს აფარებდნენ თავს. ხალხი გაიხიზნა სოფლის მახლობლად აღმართულ პატარა პლატოზე, რადგან მაპუ თითქმის მთლიანად დაფარა წყალმა.

როცა წყლის დონემ იკლო, სოფელში იპოვეს 300-მდე გვამი, ხოლო იმ ადამიანებმა, რომლებიც სტიქიას გადაურჩნენ, თითქმის ყველაფერი დაკარგეს.

25 წლის გლეხს ჟან-კლოდ ჟერმენს დაეღუპა ოთხი შვილი. „ჩემი თვალით ვუყურებდი, თუ როგორ წაიღო წყალმა ყოველივე ის, რაც მიყვარდა და ჩემს საკუთრებად მიმაჩნდა, თუმცა არ მინახავს, თუ როგორ დაიღუპნენ ჩემი შვილები, – თქვა მან.

35 წლის ივ ტრუასენმა აღნიშნა, რომ დაეღუპა ცოლი და ექვსი შვილი. „მე ვცდილობდი ბავშვები სახლის სახურავზე ამეყვანა, მაგრამ წყლის დონე სწრაფად იწევდა“.

ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა თანამშრომლები შოკში ჩააგდო ყოველივე იმან, რაც თავიანთი თვალით იხილეს.

„ეს ნამდვილად საშინელებაა“, – დაეთანხმა მას ჰაიტის დედაქალაქ პორტ-ო-პრენსში გახსნილი კათოლიკური სამსახურის თანამშრომელი შეილა ბლენდი. როგორც მან თქვა, მარტო მაპუში მთლიანად განადგურდა 1300 სახლი – მთელი სოფლის ნახევარი.

მაშველები ახლა ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ წყლიდან გამოიტანონ ცხედრები და აღკვეთონ ინფექციური დაავადებების გავრცე-



ლების შესაძლებლობა. ვერტმფრენებიდან სადეზინფექციო ნივთიერებებს აფრქვევენ დომინიკელთა რესპუბლიკის ქალაქ ჰიმანის მიდამოებში, რომელიც ჰაიტის დედაქალაქის მახლობლად მდებარეობს.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა მარკო კოკიჩმა „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ მაშველები ამჟამად ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი პატარა ნავის შოვნას და სამაშველო სამუშაოებში მოხალისეების ჩაბმას. „დიდი საფრთხე ემუქრება კუნძულის მოსახლეობის ჯანმრთელობას“, – თქვა მან.

მეორე ამოცანაა ცოცხლად დარჩენილი ადამიანების გამოხიზვნა სახიფათო ზონიდან, რადგან არსებობს წყალდიდობის მასშტაბის გადიდების საშიშროება.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი

30 მაისი, 2004 წელი.
№2
(52)

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება

⊙ გამოცა

# რამაზ ხუროძე: „ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან“

**ინგლისურ და ქართულ ენებზე გამოცემული ამ წიგნის ანოტა-ცია გვამცნობს, რომ ის განკუთვნილია უმაღლესი განათლების პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისთვის. სინამდვილე-ში, ნაშრომი სცილდება დასახულ მიზანს და ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანების ფართო სპექტრს მოიცავს.**

ნაშრომის პირველ თავში – „უმაღლესი განათლების თანამედროვე პარადიგმა“ ავტორი გვაფრთხილებს, არ ჩამოვრჩეთ დროს, რათა მარგინალურ სივრცეში მოვხვდეთ.

ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან, – წერს ავტორი და ამ პროცესის მომზადებასა და უწყვეტ განვითარებაში გადამწყვეტ სიტყვას განათლების სისტემას აკუთვნებს. არ არსებობს უფრო დიდი კაპიტალი, ვიდრე განათლებული ადამიანია. კომპეტენცია ის საფუძველია, რაზეც ახალი სამყარო დგას.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმაღლეს განათლებას, რაც საყოველთაო აღიარებით, დიდწილად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სახეს, მის ადგილსა და მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოში.

წიგნის ავტორი ღრმად იცნობს მსოფლიო პოლიტიკურ ლიდერთა ნააზრევს და სამაგალითოდ მოჰყავს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მოსაზრება, რომ „ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, ეკონომიკური წარუმატებლობა გამოიწვია ერთმა მარტივმა ფენომენმა – ნავთობზე ფასების ხუთჯერ მომატებამ. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ და ეკონომისტების უმრავლესობა თვლის, რომ ნავთობი უკვე აღარ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნედლეული მსოფლიო ეკონომიკისთვის. ახლა ასეთ ნედლეულად ინფორმაცია იქცა“.

ინფორმაცია დღევანდელი მსოფლი-




ოს განვითარების ქვაკუთხედად მოგვევლინა. ინგლისის პრემიერი,

იხ. მე-8 გვ.

# ევროპის უნივერსიტეტთა ქარტია

## The Magna Charta

**1986 წელს ბოლონიის უნივერსიტეტმა ევროპის უძველეს უმაღლეს სასწავლებლებს შესთავაზა, შეექმნათ ევროპის უნივერსიტეტთა ქარტია. წინადადება ერთსულოვნად მიიღეს.**

**1987 წლის ივნისში ბოლონიაში ევროპის 80 უნივერსიტეტის დელეგატები შეიკრიბნენ და რვაწევრიანი საბჭო აირჩიეს, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი; ბოლონიის, პარიზის პირველი, ლუვენის, ბარსელონას უნივერსიტეტების რექტორები; პროფესორები: ჯუზეპე კაპუტო (ბოლონიის უნივერსიტეტი) და მანეულ ნუმეს ენკაბო (ევროპის საპარლამენტო ასამბლეის უნივერსიტეტთა ქვეკომისიის პრეზიდენტი).**

**წინამდებარე დოკუმენტი – ევროპის უნივერსიტეტთა ქარტია – მომზადდა ბარსელონაში 1988 წლის იანვარში. მას ხელი მოაწერა ყველა იმ რექტორმა, რომლებიც ბოლონიაში უნივერსიტეტთა ალმა მატერის 900 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრნენ.**

**ქარტია მიზნად ისახავს მრავალსაუკუნოვანი საუნივერსიტეტო ტრადიციებისა და ღირებულებების გაცხადებას, ევროპის უნივერსიტეტებს შორის კავშირურთიერთობების განმტკიცებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზოგადსაკაცობრიო სულისკვეთების მქონე დოკუმენტია და მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტს შეუძლია მასთან შეერთება.**

**ფაბიო როვერსი მონაკი,**
**ბოლონიის უნივერსიტეტის რექტორი.**

იხ. მე-9 გვ.

# საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ღირსეულად იზეიმა

**25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ტექნიკურ უნივერსიტეტში საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, სტუდენტობა და თბილისის პრემიერი, ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბატონი ბიძინა ბრეგაძე დაესწრნენ.**

ამ დღეს სტუდენტებმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს, სტუს სტუდკავშირის ინიციატივით, მათ მიერ აღდგენილი და დასუფთავებული საakadის მოედანზე მდებარე, აქამდე უფუნქციოდ დარჩენილი მიწისქვეშა გადასასვლელი. მოგვიანებით ადმინისტრაციული კორპუსის ეზოში მოეწყო სპორტული შეჯიბრი კალათბურთში, ჭადრაკსა და მკლავჭიდში. კალათბურთის ტურნირში მონაწილეობა 16-მა ფაკულტეტმა მიიღო. ფინალში ერთმანეთს სამთო-გეოლოგიურისა და ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტები დაუპირისპირდნენ. დაძაბული ორთაბრძოლის შედეგად გამარჯვება სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გუნდს ხვდა წილად. ასევე მოეწყო შეჯიბრი კალათბურთის ბურთის ფარში სროლაში, რომელშიც გამარჯვება პტფ ფაკულტეტის სტუდენტმა მიხეილ ამაშუკელმა მოიპოვა. მას პრიზი კომპიუტერი „პენტიუმ-4“ გადაეცა.

ამავე დღეს, ასევე საზეიმო ვითარებაში, სტუს რექტორმა ევროპული სტანდარტების დონის სპორტული კომპლექსი გახსნა.

„სპორტული კომპლექსის“ მშენებლობას ორი წელი მოვანდომეთ.

სპორტულ ბაზას ყველა მოიხმარს, ივარჯიშებენ სტუდენტები, რომლებიც იმ ტრადიციებს გააგრძელებენ, რომლითაც ტექნიკური უნივერსიტეტი დღემდე მოვიდა. ხელოვნური საფარით დაფარულ ფეხბურთის მოედანთან ერთად, უკვე მზად არის ჩოგბურთის სამი კორტი, ხელოვნური საფარით დაფარული მინიფეხბურთის, და საპლიაჟო ფრენბურთის მოედნები. ამით სტუ-ში უნიკალური სპორტული ბაზა შეიქმნა. მოედნების გვერდზე მდებარე კორპუსში მიუსაფარი ბავშვებისათვის რესპუბლიკური სპორტული სკოლა შეიქმნება. ამჟამად შენობის პირველი სართულია გარემონტებული. სარემონტო სამუშაოები გრძელდება. ამასთან, ჩვენ უკვე ამერიკული ფონდების ხელმძღვანელებს მოველაპარაკეთ, რომლებიც ამ სკოლის საქმიანობას დააფინანსებენ. ვფიქრობთ, რომ მომავალი წლისათვის სკოლა მზად იქნება. მისასალმებელია, რომ სტუდენტურმა დღეებმა არაჩვეულებრივი აქტიურობით ჩაიარა, დაწყებული სამეცნიერო კონფერენციებიდან, ოლიმპიადითა და კულტურული ღონისძიებებით დამთავრებული“, – აღნიშნა სტუს რექტორმა, პროფ. რამაზ ხუროძემ.

სპორტული კომპლექსის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიალში მონაწილეობდნენ სტუს კაპელა, სტუს თეატრ-სტუდია „მოდინახე“, მხატვრული ტანვარჯიშის სტუდია „გრაცია“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერანი“.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი და სტუდენტური დღეების დახურვის ცერემონია საღამოს სტუს თეატრ-სტუდია „მოდინახეში“ გაგრძელდა. სტუდენტურ დღეებში გამარჯვება სტუს სატრანსპორტო ფაკულტეტმა მოიპოვა, ხოლო სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულ სტუდენტებს პრიზები პარფიუმერულ ფირმა – „ორიფლეიმის“, „ჯეოსელის“ და „ბორჯომის“ წარმომადგენლებმა გადასცეს.





**ნიკა ცქიტიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 122, კვირა, 30 მაისი, 2004 წელი.

⊙ გამოიცა

# რამაზ ხუროძე: „ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან“

(მეშვიდე გვერდიდან)

თავის მხრივ, მსოფლიო ეკონომისტების უმრავლესობის აზრს ეყრდნობა. წიგნის ავტორი კი ამ საკითხს ავითარებს და ფაქტობრივად, პროგრამას გვთავაზობს.

ავტორი მიუთითებს, რომ „ეკონომიკურ პროცესში, სახელმწიფოს უხეში ჩარევა განვითარებული ქვეყნებისთვის ანაქრონიზმად იქცა“. ეს უაღრესად დამაფიქრებელი დებულებაა, ვინაიდან „უხეშმა ჩარევამ“ უმდიდრესი რესურსების ქვეყანა გააღატაკა და ისეთ ქვეყნებზე გახადა დამოკიდებული, რომელთა ტერიტორია საბჭოთა იმპერიის მეათედსაც არ შეადგენდა: ამ საკითხზე ჯონ კუინსი გვაფრთხილებდა. „სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეულ საზღვრებში მიეხმაროს ეკონომიკას, მაგრამ მისი შესაძლებლობები – ზიანი მიაყენოს მას, განუსაზღვრელია“.

აქვე განხილულია კონკურენციის აუცილებლობა, რომელიც მძაფრდება, ფართოვდება და უკვე არა მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებს გულისხმობს, არამედ რეგიონული გაერთიანებების შეჯიბრსაც. კონკურენცია ბიოლოგიურად პირობადებულია, თვით ბუნება მოითხოვს კონკურენციას, აკანონებს და ამკვიდრებს მას. „თუ ჩვენ ბუნებას მოვუსმენთ, ის არასოდეს შეგვაცდენს“, – წერდა ციცერონი.

კონკურენცია ბუნებაში, კონკურენცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარების აუცილებელი პირობაა. შეიძლება, ეს ჩვენ არ მოგვწონს, რადგან გლობალიზაცია და კონკურენცია ჩვენ კარსაც მოაკაკუნებს, მაგრამ, როგორც წიგნის ავტორი გვიხსნის, „ეს უნდა გახდეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის აუცილებელი ელემენტი“.

ეს ჭეშმარიტებაა. „ჭეშმარიტებას კი, როგორც თავისუფლებას, ვერსად გაექცევი“ (ხოსე ორტეგა ი. გასეტი).

სიმართლე მკაცრია და შეუბრალებელი, როგორც ცხოვრება, როგორც საბაზრო ეკონომიკა, რომლის დასამკვიდრებლად დიდი შრომა და გაორმაგებული სწავლა გვმართებს.

... წიგნის მეორე თავი ადამიანის პრობლემას ეძღვნება. „ადამიანმა არა მხოლოდ უნდა შეცვალოს სამყარო, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თავად უნდა შეიცვალოს“. იქვე ვკითხულობთ: „ეს ცვლილება არ ნიშნავს ფუნდამენტურ კაცობრიულ ღირებულებათა უარყოფას. პირიქით, სწორედ მათს შენარჩუნებასა და განვითარებაზეა ორიენტირებული, ახალ პირობებში“.

ადამიანი ვერც სამყაროს შეცვლის და ვერც თავად შეიცვლება, თუ არ დაეყრდნობა მეცნიერების მიღწევებს, რომელიც განსაცვიფრებელი სისწრაფით განიცდის აღმავლობას.

მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის მთავარი ინსტრუმენტია. მთელს მსოფლიოში არნახულად იზრდება ყველა მეცნიერული დარგის – ტექნიკური, საზოგადოებრივის და საბუნებისმეტყველოს მნიშვნელობა...

აქვე გავიხსენოთ, რომ ისტორია სიბრძნეს გვანიჭებს, პოეზია – გონებამახვილობას, მათემატიკა სიზუსტეს, ბუნების ფილოსოფია ზნეობრივ სიწმინდეს და სრულყოფილებას, პოლიტოლოგია და იურისპრუდენცია – სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას, რიტორიკა – მჭევრმეტყველებას და უნარს, შეგვეძლოს ჩვენი აზრის დასაბუთება, ხელოვნება ესთეტიკურ სიამოვნებას განგვაცდევინებს.

წიგნის მესამე თავში მოკლედ არის განხილული უმაღლესი განათლების რეფორმირების პირველი მცდელობები საქართველოში, რაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. მიზნად იყო დასახული არსებული სისტემის დივერსიფიკაცია, მისი მრავალსახეობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდაქმნებთან მისადაგება და მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება. ნაშრომში მეცნიერული სიღრმით არის განხილული სასწავლო პროცესის ორგანიზაციის საკრედიტო სისტემა, სამენეჯერო განათლების პერსპექტივა, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები განათლებაში, უწყვეტი განათლების იდეის რეალიზება, განათლების ხარისხის კონტროლი, უმაღლესი განათლების დაფინანსება და სხვა თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა წიგნი, რომელიც მარადიულ ღირებულებათა აღმავლობასა და განვითარებას ემსახურება. ავტორმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ მიზანს მიაღწია, როცა მან სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს, ჩვენ ყველას, წარმოგვიდგინა საპროგრამო მასალა. პირნათლად და მოურიდებლად დაგვიმოძღვრა, რომ ეკონომიკური თავისუფლება, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, საბაზრო მეურნეობა მკაცრად მოგვთხოვს, უნივერსიტეტის რიგებიდან ზარმაცის, უწიგნურისა და უღირსის განდევნას. „ღირსეულს უნდა ეკუთვნოდეს ღირსი ალაგი“, – ამას შექსპირი გვასწავლის.

**ნუგზარ ვანიშვილი.**

⊙ პრობლემა

# ახლო მომავალში აფხაზეთში ენერგოსისტემის რეაბილიტაციასაც დავიწყებთ

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო გეოდეზიის და მარკშაიდერიის კათედრა ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან აქტიურად მონაწილეობდა ენგურჰესის მშენებლობაში. გიგანტური მოცულობის კაშხლის პროექტი ქართველმა სპეციალისტებმა მოსკოვში არსებულ ჟუკის სახელობის ჰიდრონაგებობების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად შეადგინეს. ამ დროიდან მოყოლებული ტექნიკური უნივერსიტეტის გეოდეზიის სპეციალისტები, გეოფიზიკოსები, გეოლოგები კაშხალზე მიმდინარე ცვლილებებს წელიწადში ორჯერ აკვირდებიან. იმის შესახებ, თუ რა სირთულეები ხვდებათ მათ მონიტორინგის ჩატარებისას, როგორ მდგომარეობაშია ეს უზარმაზარი ჰესი და რა ძირითადი პრობლემები არსებობს დღეს ენერგომომარაგებაში, გვესაუბრება საინჟინრო გეოდეზიისა და მარკშაიდერიის კათედრის გამგე, პროფესორი მერაბ თევზაძე.**

***– ბატონო მერაბ, თქვენი აზრით, რა მდგომარეობაშია დღეს ენგურის კაშხალი?***

– „ენგურის თაღოვანი კაშხალი მსოფლიოში უნიკალურია. მისი სიმაღლე 271 მეტრია, ზღვის დონიდან კი დაახლოებით 500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მისი აუზის მოცულობა ძალიან დიდია, წყლის საერთო წონა დაახლოებით მილიარდხუთასი მილიონი კუბური მეტრია, ეს კაშხალს ძალიან დიდად აწვება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის შევსებულია. აქედან გამომდინარე, არსებობს მისი დეფორმაციის საშიშროებაც. კაშხლის გარშემო სხვადასხვა სახის ცვლილებები მიმდინარეობს – ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური გადაადგილება და ა.შ. ყველაფერ ამას მაღალი სიზუსტის საინჟინრო გეოდეზიური დაკვირვებები სჭირდება. სათანადო დაკვირვებებისთვის ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში იქ მაღალი კლასის გეოდეზიური ქსელი



შევქმენით, სადაც სხვადასხვა სახის გეოდეზიური სამუშაოები ხორციელდებოდა, ისეთები, როგორიცაა ტრიანგულაცია, პოლიგონომეტრია, ნიველობა. ყოველ მათგანს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, კაშხლის ტანს იკვლევენ როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ მოძრაობაში. ასეთი კაშხლის არსებობის დროს საკმარისია არა მარტო გეოდეზიური შესწავლა, გრავიმეტრიული, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ჰიდროტექნიკური დაკვირვებებიცაა აუცილებელი. სრული მონიტორინგის ჩატარება ჩვენ, ინჟინრებს, საშუალებას გვაძლევს, რომ კაშხლის მოძრაობის შემთხვევაში მასზე მიმდინარე ცვლილებები დროულად შევამჩნიოთ. ეს განსაკუთრებით მაშინაა აუცილებელი, როდესაც კაშხალი მთლიანად ავსებულია და ნიშნული მაქსიმუმამდე აღწევს და პირიქით, როდესაც ნიშნული მინიმუმია. კაშხალში დაგროვილი წყალი კაშხლის მარჯვნივ 15-კილომეტრიან სადერევაციო გვირაბში მიედინება. 15 კმ-ის დაშორებით სოფელი საბერიო მდებარეობს, სადაც თვითონ ჰესია განთავსებული. იქ წყლის ვარდნა დაახლოებით 90 მეტრია. ამ ჰესში, ქვევით 5 აგრეგატი დგას, რომელსაც ეს ვარდნილი წყალი ამუშავებს. ჩვენ კაშხლის ექვს ჰორიზონტს ვსწავლობთ. ყველა ამ ჰორიზონტზე კაშხალში გვირაბია, გვირაბებში სპეციალური მარკები, რეპერები და სხვა სახის გეოდეზიური დანიშნულების ამთვლელი ხელსაწყოები გვაქვს ჩამონტაჟებული, რომელზედაც წელიწადში ოთხჯერ ან ორჯერ მაინც დაკვირვებებს ვახორციელებთ. მონიტორინგის ჩატარება საშუალებას გვაძლევს, რომ კაშხალზე მიმდინარე ცვლილებებთან მიმართებაში დამშვიდებულები ვიყოთ.

***– მონიტორინგის განხორციელების დროს, ძირითადად, რა სახის წინააღმდეგობები გხვდებათ?***

– მონიტორინგის ჩატარებისას ჩვენ გარკვეულ სირთულეებსა და ბარიერებს ვაწყდებით. დაბრკოლებები ბევრია. ზოგ ჩვენს თანამემამულეს ეს დილეტანტობით მოსდის, რადგან არ იციან, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამ მონიტორინგის ჩატარებას. არ იციან, რომ კაშხალი ცოცხალი ორგანიზმია და ყოველთვის მოსალოდნელია მისი მწყობრიდან გამოსვლა. ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლებაა ფინანსირება. ერთმა „ჭკვიანმა“ თანამდებობის პირმა ისიც კი გვაკადრა, რომ თუ ფულს არ გიხდიან, ნუ აწარმოებთ მონიტორინგსო, ჩვენ როცა ავუხსენით, რომ ციკლის გამოტოვება არ შეიძლება, რადგანაც მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი მოვლენები, მან გვითხრა, „რომც დაინგრეს ენგურჰესი, თქვენ რა შუაში იქნებით – თქვენ ხომ ფული დროულად არ გადმოგირიცხესო“. ხშირად ის თანხებიც კი არ არის, რომელიც კაშხალზე დაკვირვებების განსახორციელებლადაა აუცილებელი. იმედი მაქვს, რომ ეს მდგომარეობა მოკლე ხანში გამოსწორდება.

***– ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა რა ზეგავლენა იქონია საქართველოს ენერგეტიკაზე?***

– მოგეხსენებათ, რომ გალის რაიონში 4 ვარდნილი ჰესი მდებარეობს, რომელიც გალის წყალსაცავით არის ცნობილი. ამ ვარდნილი ჰესების დინამიკაზე ჩვენ დაკვირვებებს სისტემატურად ვახორციელებდით. საუბედუროდ, 1990-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო მესამე და მეოთხე ჰესი მთლიანად დაიტბორა. ამის გამო ისინი ჯერჯერობით არ მოქმედებს. პირველი ვარდნილჰესი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. 90 მეგავატამდე სიმძლავრეს იძლევა. ეს მაშინ, როცა ზაჰესი სულ 30 მეგავატს იძლევა და რომელიც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ელენერგიით თითქმის მთელ თბილისს ამარაგებდა. ასე რომ, გალის რაიონში საკმაოდ დიდი ჰესებია, რომლებიც ჯერჯერობით არ ფუნქციონირებენ. იმედია, ახლო მომავალში აფხაზეთში ენერგოსისტემის რეაბილიტაციასაც დავიწყებთ.

***– როგორც ცნობილია, ქართველების მიერ შედგენილი პროგრამის განხორციელებას სხვა ქვეყნებიც აპირებენ. რას გვეტყოდით ამის შესახებ?***

– ჩვენს მიერ შედგენილი პროგრამის გამოყენებას, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს არსებული სახელმწიფო მშენებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცდა, ჩინელები აპირებენ. მათ სურთ, რომ თავიანთ ტერიტორიაზე დაახლოებით 300 მეტრის სიმაღლის ხუთი კაშხალი ააგონ. ამ პროგრამის გამოყენებას თურქეთში დემირელის სახელობის კაშხლის აშენებისას აპირებენ, რომლის სიმაღლე დაახლოებით 300 მეტრი იქნება. ამ უკანასკნელის მშენებლობა კი ჩვენს გულისწყრომას იწვევს, რადგან როგორც ცნობილია, ასეთი კაშხლები ჩამონატანს ყოველთვის ლობავენ. ეს ჩამონატანი შავ ზღვაში თუ არ ჩავიდა, მაშინ ჩვენს უსაყვარლეს ქალაქ ბათუმს საშიშროება ემუქრება, რადგან ჭოროხს ძალიან დიდი შემონატანი შემოაქვს. ეს დემირელის კაშხალი კი სწორედ ჭოროხზე შენდება. ეს მდინარე ჩვენი სანაპიროს მკვებავია. საერთოდ, როდესაც ასეთი რამ შენდება, ცხადია, მეზობელი ქვეყანა საქმის კურსში უნდა იყოს. სწორედ ამიტომ ჩვენ ვითხოვეთ, რომ საქართველოს გეოდეზისტები კაშხლის მშენებლობის პროცესზე დაგვიშვან და, შესაბამისად, შემდგომი მონიტორინგის ჩატარების პროცესშიც მივიღოთ მონაწილეობა.

***– რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს მხრიდან იმისათვის, რომ გეოდეზიური სამუშაოები უფრო მაღალ დონეზე განხორციელდეს?***

– წინა პარლამენტმა მიიღო კანონი განსაკუთრებული ნაგებობებისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების გეოდეზიური მომსახურების შესახებ, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოდეზიური კვლევის ცენტრს დაევალა. ეს ცენტრი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ რამაზ ხუროძის გადაწყვეტილებით ხუთი წლის წინათ შეიქმნა, სადაც გეოდეზიის კათედრის თანამშრომლები, ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერები და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები არიან გაერთიანებული. დღეს სხვადასხვა ნაგებობებსა და შენობებზე გეოდეზიურ სამუშაოებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მომუშავე გეოდეზისტები ასრულებენ, გეოდეზიური კვლევის ცენტრს კი მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებზე მეთვალყურეობა და კონტროლი ევალება. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ჩვენს კოლექტივს სახელმწიფოს წინაშე ძალზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ესაუბრა
**ლელა ხვადაგიანი.**

# ევროპის უნივერსიტეტთა ქარტია

## The Magna Charta

(მეშვიდე გვერდიდან)

### პრეამბულა

ევროკავშირის ქვეყნებს შორის საზღვრების გაუქმებამდე 4 წლით ადრე ევროპის ერთ-ერთ უძველეს ბოლონიის უნივერსიტეტს 900 წლის იუბილეზე ევროპის უნივერსიტეტების რექტორები ესტუმრნენ, რათა საუნივერსიტეტო ქარტიას მოაწერონ ხელი. მათ ღრმად სწამთ, რომ ხალხებმა და სახელმწიფოებმა უნდა გააცნობიერონ ის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რაც უნივერსიტეტებმა უნდა შეასრულონ საზოგადოებაში, რომელიც მუდმივად იცვლება და ინტერნაციონალურობას ესწრაფვის.

უნივერსიტეტების რექტორებს ევროპის ერებს შორის ხანგრძლივი თანამშრომლობის დიდი იმედი აქვთ.

### ისინი მიიჩნევენ, რომ:

1. მეორე-მესამე ათასწლეულების მიჯნაზე კაცობრიობის მომავალი დიდად არის დაკავშირებული იმ კულტურულ, მეცნიერულ და ტექნიკურ განვითარებაზე, რასაც უნივერსიტეტი განაპირობებს;

2. უნივერსიტეტის მიზანია ახალგაზრდა თაობებს თანამედროვე ცოდნა გადასცეს და იმ გლობალური საზოგადოების სამსახურში ჩააყენოს, რომლისთვისაც უწყვეტი განათლება კულტურული, სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივის განხორციელების არსებითი წინაპირობაა: აქედან გამომდინარე, ამ სფეროში მნიშვნელოვან ინვესტირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს;

3. უნივერსიტეტებმა ისე უნდა მოამზადონ ახალი თაობები, ისეთი განათლება უნდა მისცენ, რომ მათ (ხოლო მათი საშუალებით – სხვებმაც) გარესამყაროს არაჩვეულებრივი ჰარმონიისა და თვით სიცოცხლის დაფასება ისწავლონ.

ევროპის უნივერსიტეტთა ქარტიის ხელმომწერი რექტორები ყველა სახელმწიფოსა და ერს მოუწოდებენ, დაიცვან ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც მხოლოდ დღევანდელ დღეს კი არა, ყოველთვის იქნება უნივერსიტეტის არსებობის საფუძველი.

### ფუნდამენტური პრინციპები

1. უნივერსიტეტი ავტონომიური ერთეულია; ის საზოგადოების გულია, რომლის ნაირსახეობას ქვეყნის გეოგრაფიული თუ ისტორიული მემკვიდრეობის თავისებურება განაპირობებს. უნივერსიტეტი ქმნის კულტურას, იკვლევს, აფასებს მას და თაობებს გადასცემს გამოკვლევებისა და განათლების სახით. საუნივერსიტეტო კვლევაძიებამ და სწავლებამ თანამედროვე სამყაროს მოთხოვნილებები რომ დააკმაყოფილოს, უმაღლესი სასწავლებელი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი სახის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეწოლისაგან, ზნეობრივი თუ ინტელექტუალური დიქტატისაგან;

2. უნივერსიტეტში ერთობლივად უნდა ხორციელდებოდეს სწავლება და სამეცნიერო კვლევა, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს მეცნიერების განვითარებას და აკმაყოფილებდეს ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს;

3. სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თავისებურება საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპია. სახელმწიფოებმა და უნივერსიტეტებმა მას, შეძლებისდაგვარად, პატივი უნდა სცენ. უნივერსიტეტი, რომელიც მხარს უჭერს შემწყნარებლობას და მუდამ მზად არის ღია დიალოგისთვის, იდეალური ადგილია შეხვედრებისთვის, რომლის დროსაც პროფესიონალი პედაგოგები ნიჭიერ და უნარიან სტუდენტებს ცოდნას უზიარებენ და, მათთან ერთად, ცდისა და სამეცნიერო კვლევების საშუალებით, ახალ ცოდნას იძენენ;

4. უნივერსიტეტი ევროპის ჰუმანიტარული ტრადიციების ერთგულია. მრავალმხრივი ცოდნის შეძენა მისი მუდმივი საზრუნავია. მიზნის მისაღწევად ის გეოგრაფიულ თუ პოლიტიკურ საზღვრებს გადალახავს და განსხვავებული კულტურებისა თუ ცოდნის, ასევე ურთიერთგავლენის არსებით მნიშვნელობას ნათელყოფს და ამკვიდრებს.

### საშუალებები

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ზემოთ ნახსენები პრინციპების შესაბამისად, საჭიროა დღევანდელი პირობების შესატყვისი ეფექტური საშუალებების გამოყენება:

1. სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების თავისუფლების შესანარჩუნებლად უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ყველა საშუალება საუნივერსიტეტო საზოგადოების ყოველი წევრისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს;

2. პედაგოგთა დასაქმებისა და სტატუსის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს მეცნიერული კვლევების სასწავლო პროცესისგან განუყოფლობის პრინციპი;

3. ყოველმა უნივერსიტეტმა, თავისებურებათა გათვალისწინებით, თითოეული სტუდენტის თავისუფლებისა და იმ აუცილებელ პირობათა დაცვა უნდა უზრუნველყოს, რაც ცოდნის შესაძენად და კულტურის ასათვისებლად არის საჭირო;

4. ევროპის უნივერსიტეტები მიიჩნევენ, რომ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ურთიერთგაცვლა და ერთობლივად პროექტების შემუშავება სასწავლო პროცესს უფრო მიზნობრივს ხდის და მყარი ცოდნის მოპოვების არსებითი წინაპირობაა. ამგვარად, უნივერსიტეტები, როგორც თავიანთი განვითარების ადრეულ ეტაპზე, დღესაც მხარს უჭერენ მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილურობასა (ცოდნის მიღების მიზნით სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში მივლინებას) და თანამშრომლობას.

უფრო მეტიც – ისინი მხარს უჭერენ ეკვივალენტური სტატუსის, წოდებების, ცოდნის შეფასებისა და სტიპენდიათა მინიჭების საერთო პოლიტიკის დამკვიდრებას (რაც სრულიად არ გულისხმობს ეროვნული დიპლომების მნიშვნელობის დაკნინებას), როგორც პედაგოგთა და სტუდენტთა მიერ უმთავრესი მისიის აღსრულების აუცილებელ პირობას.

ქვემორე ხელისმომწერი რექტორები, თავიანთი უნივერსიტეტების სახელით, ვალდებულებას იღებენ, ყოველი ღონე იხმარონ, რათა ყველა ქვეყანამ და შესაბამისმა ზეეროვნულმა ორგანიზაციებმა რეალურად დაამკვიდრონ ცხოვრებაში ამ ქარტიაში ჩამოყალიბებული პოლიტიკა, რომელიც ყველა უნივერსიტეტის მიერ ნებაყოფლობით განსაზღვრულსა და გაცხადებულ სურვილს გამოხატავს.

**ბოლონია,**
**1988 წელი, სექტემბერი.**

⊙ ენერგეტიკა

# ელექტროენერგია სახვეწარი რომ არ გაგვიხდეს

**საქართველოში ელექტროენერგიის საკითხი კვლავ ურთულეს პრობლემად რჩება. მისი გადაწყვეტა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტს შეადგენს. ამ პრობლემის გადასაჭრელად როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც მრავალი ორგანიზაცია და მეცნიერი დიდი ხანია მუშაობს. ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშიც მიმდინარეობს, სადაც დადებითი შედეგები უკვე მიღებულია.**

**პრობლემის გადაჭრის რეალურ გზებსა და საშუალებებზე გვესაუბრება ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით დვალი.**



***– ელექტროენერგეტიკაში ძირითადი პროცესებია გენერაცია, გადაცემა და მოხმარება. აქედან სად შეიძლება ვეძებოთ, ენერგოკრიზისის პირობებში, პრობლემის გადაწყვეტის სწრაფი და იაფი გზები?***

– საქართველოში როგორც გენერაციის, ასევე მოხმარების სფეროში დიდი რეზერვებია. გენერაციის ახალი ობიექტების შექმნა დიდ კაპიტალდაბანდებებსა და დიდ დროს მოითხოვს. ეს უკვე ჩვენი მოსახლეობისთვის ნაცნობი თემაა. შედარებით უცნობი ელექტროენერგიის მოხმარების სფეროში არსებული ვითარება ის რეზერვებია, რომელთა გამოყენება ახალი ტექნოლოგიებით არის შესაძლებელი.



1989 წლიდან 1999 წლამდე ელექტროენერგიის მოხმარება მრეწველობაში 10,8-ჯერ შემცირდა, ტრანსპორტში – 3,04-ჯერ, სოფლის მეურნეობაში – 121,8-ჯერ, მშენებლობაში – 32-ჯერ და ა.შ. ერთადერთი სფერო, სადაც ელექტროენერგიის მოხმარებამ თითქმის 3-ჯერ იმატა და მთელი მოხმარების 42,6 პროცენტს მიაღწია, მოსახლეობაა. ეს კი თითქმის 5-ჯერ მეტია, ვიდრე მრეწველობაში.

***– საინტერესოა, როგორ შეიძლება ელექტროენერგიის მოხმარება მოსახლეობისთვის უფრო ეფექტიანი გახდეს, ე.ი. როგორ დავზოგოთ მოსახლეობის მიერ მოხმარებული ენერგია?***

– დღეს თითქმის ყველა საოჯახო ელექტრომომხმარებელი ენერგოტევადია. ე. ი. ენერგეტიკული თვალსაზრისით არაეფექტიანია, ეს ელექტროენერგიის მოხმარების ძველი ტექნოლოგიებია. თანამედროვე ტექნოლოგიები იგივე ეფექტს გაცილებით მცირე ენერგიის დანახარჯით იძლევა. მოდით, ამჯერად განათების ტექნოლოგიებზე შევჩერდეთ. საქართველოში ბინების განათებაზე დღეს მოსახლეობის მთელი მოხმარების 16,1 პროცენტი იხარჯება, თბილისში კი თითქმის 25 პროცენტი. თანამედროვე განათების ტექნოლოგიები ძალზე საინტერესოა არა მარტო მისი განათების არქიტექტურის, არამედ ენერგოეფექტიანობის თვალსაზრისით. მათი გამოყენებით იგივე ინტენსივობის განათების პირობებში ენერგიის მოხმარების 5-ჯერ შემცირებაა შესაძლებელი.

***– ეს ენერგოდამზოგი ნათურებითაა შესაძლებელი?***

– ენერგოდამზოგი ნათურები, ანუ კომპაქტური ლუმინესცენტური ნათურები 5-ჯერ ამცირებენ აქტიური ელექტროენერგიის მოხმარებას და 10-ჯერ მეტ ხანს მუშაობენ. თუ საქართველოში ერთ ოჯახს 1 ცალი 60-ვატიანი და 3 ცალი 100- ვატიანი ვარვარობის ნათურის ნაცვლად 1 ცალი 12-ვატიანი და 3 ცალი 20-ვატიანი ენერგოდამზოგი ნათურა მაინც ექნება, მაშინ ენერგოდამზოგი ნათურის 10-ჯერ მეტი ფასის მიუხედავად, ერთი წლის განმავლობაში თითოეული ოჯახი 58 ლარს, ხოლო მათი მუშაობის მთელი დროის განმავლობაში (6-7 წელი) თითქმის 400 ლარს დაზოგავს. ცხადია, ნათურის ღირებულება 3-5 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. ამით, თბილისში მოხმარებული სიმძლავრე 92,2 მეგავატით შემცირდება, ხოლო საქართველოში – 360 მეგავატით. მაშინ, როცა 92,2 მგვტ სიმძლავრის ელსადგური რომ ავაშენოთ, 92 მილიონი დოლარი და რამდენიმე წელია საჭირო. თბილისში კი, სადაც 350 ათასი ოჯახია, 1,28 მილიონი ნათურის გავრცელება სწრაფადაა შესაძლებელი.

***– რამდენადაც ცნობილია, ამ სახის ნათურები დღეს თბილისში საკმაოდ ძვირი ღირს.***

– ჩვენთან ასეთი სახის ნათურები 9-დან 20 ლარამდე ღირს, რაც, დამეთანხმებით, მოსახლეობის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ძვირია. ბოლო დროს გამოჩნდნენ კერძო პირები, რომლებიც ასეთი ნათურების საქართველოში გავრცელებას ცდილობენ: გამოდიან ტელევიზიით, მიმართავენ ხალხსა და სხვადასხვა უწყებას, რათა მოიზიდონ თანხები საზღვარგარეთიდან ნათურების შემოსატანად და შემდგომში მათ მომგებიანად გასაყიდად. ისინი ასეთი ტექნოლოგიების სფეროში დილეტანტები არიან. არ ესმით, რაშია ამ ნათურების მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც ენერგოსისტემაზე უარყოფით გავლენაში გამოიხატება. უცხოური ლუმინესცენტური ნათურა ელექტრული ქსელისთვის დამახინჯებული (არასინუსოიდური) დენის მომხმარებელია, ანუ არაწრფივი მომხმარებელია. ამ დროს ნათურა ქსელიდან აქტიური სიმძლავრის გარდა, დამახინჯების რეაქტიულ სიმძლავრესაც მოითხოვს, რომელიც აქტიურ სიმძლავრეს თითქმის ორჯერ აღემატება. ასე რომ, მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრის წილი (ე.წ. სიმძლავრის კოეფიციენტი) მთლიანად მოთხოვნილ, ანუ სრულ სიმძლავრესთან შეფარდებით 50-60 პროცენტის ტოლია. ე.წ. რეაქტიული სიმძლავრე სინათლის წარმოქმნაში არ მონაწილეობს. იგი მხოლოდ ნათურის ელექტრონული სქემის ელემენტებს სჭირდება, რაც უკვე ამ სქემის ნაკლს წარმოადგენს. ამგვარად, ნათურა ქსელიდან მთლიანად მოითხოვს ვარვარებით ნათურასთან შედარებით მხოლოდ 2-ჯერ ნაკლებ სიმძლავრეს (ენერგიას), ენერგიის საოჯახო მრიცხველი კი აღრიცხავს მხოლოდ აქტიურ ენერგიას, რომელიც 5-ჯერ იზოგება. საბოლოოდ, ქსელის დატვირთვა მხოლოდ 2-ჯერ მცირდება და არა 5-ჯერ. დამახინჯების სიმძლავრის მიმოქცევას ქსელსა და ნათურას შორის თან ახლავს ნეგატიური მოვლენები. კერძოდ, ხდება ძაბვის ფორმის დამახინჯება, ნეიტრალურ გამტარში დენის რამდენჯერმე გაზრდა, ელექტროქსელების ელემენტებში იზრდება აქტიური სიმძლავრეების დანაკარგები. ამას იწვევს როგორც რეაქტიული სიმძლავრე, ასევე დენის სიხშირის გაზრდით გამტარის წინაღობის გაზრდა. ამის გამო ხდება ტრანსფორმატორებისა და ძალოვანი კაბელების გადახურება იმ დროსაც კი, როცა დატვირთები ნორმებს არ აჭარბებს. მეტიც, ე.წ. არაწრფივ მომხმარებლებში ამგვარი ნათურების „წყალობით" ელექტროენერგიის მრიცხველები დანახარჯს რეალურთან შედარებით გაცილებით მეტს უჩვენებენ, ხდება იზოლაციის დაზიანება და შედეგად ავარიები და სხვა. ამრიგად, ენერგოდამზოგი ნათურების დიდი რაოდენობით ჩართვა საქართველოს სუსტ ენერგოქსელში დაუშვებელია.

***– როგორ შეიძლება მივიღოთ სრულყოფილი ენერგოდამზოგი განათება?***

– საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ელექტროსელის ელემენტები (ტრანსფორმატორები, სადენები და სხვ.) მსგავს არაწრფივ მომხმარებლებზეა გაანგარიშებული. ამიტომ ამ ნათურების მავნე გავლენა გამორიცხულია. საქართველოს ელექტროქსელები კი ზემოთ აღნიშნული რეაქტიული სიმძლავრეების გასატარებლად მზად არ არის. ამიტომაც უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ მაღალი სიმძლავრის კოეფიციენტის მქონე ენერგოდამზოგი ნათურები. მაგალითად, ამერიკული სტანდარტის მიხედვით საკმარისია არანაკლები 0,9 (90 პროცენტი). მიუხედავად ამისა, გამოსავალი მოძებნილია და ეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გახდა შესაძლებელი. სტუ-ში უკვე არსებობს მაღალი ეფქტურობის ენერგოდამზოგი ნათურების შექმნის, წარმოებისა და რეალიზაციის პროექტი. იგი ქართველი მეცნიერების შესაბამის კვლევით სამუშაოებსა და პატენტებს ეყრდნობა. წინასწარი ვარაუდით, ქართული ნათურა, უცხოურთან შედარებით გაცილებით იაფი – 3-5 ლარი ეღირება, ელექტროქსელს არ დააზიანებს, ხუთჯერ ნაკლებ ენერგიას მოიხმარს და წლობით იმუშავებს. დაბოლოს, – მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგია სახვეწარი აღარ გვექნება. მეცნიერების გათვლებით, ნათურები სწორედ იმდენ და მეტ ენერგიას დაზოგავენ, რამდენის იმპორტიც დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება.

**ესაუბრა**
**ნიკა ბრეგვაძე.**

ყურადღებას მოითხოვს

# ამჟამად მსოფლიო პრაქტიკაში ინერგება

**ამჟამად მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახალი სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობა და ძველების რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. შესაბამისი ძვირადღირებული პროგრამები გააზრებულ დაგეგმვას, მართებულ სტრატეგიას, გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენებას საჭიროებენ. ეს ეხება როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საზღვარგარეთელ პარტნიორთა მიერ დაბანდებულ ინვესტიციებსა და კრედიტებს.**

პრობლემის საყურადღებო ნიმუშს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპლუატაციაში არსებული ხიდების მდგომარეობა წარმოადგენს. 90-იანი წლების დასაწყისში შესრულებულმა ხიდების გამოკვლევის მასალების ანალიზმა ნათელყო, რომ ამ ქვეყანაში 577 ათასამდე ხიდი მოქმედებს, რომელთაგან 90000 30-იან წლებშია აგებული. ხიდების საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტს სერიოზული კონსტრუქციული დეფექტები და დაზიანებები აღმოაჩნდა.

ამავე დროს, მძიმე მდგომარეობაშია ნიუ-იორკის ხიდებიც. იქ ექსპლუატაციაში 1424 ხიდია, რომელთაგან 46 პროცენტი საჭიროებდა რეკონსტრუქციას, 29 კი საერთოდ დაიხურა. ქალაქის ხელმძღვანელობამ დასვა საკითხი შექმნილიყო და რეალიზებულიყო ხიდების ექსპლუატაციის მსოფლიო კლასის პროგრამა. პროგრამის დამუშავებაში ადგილობრივი უნივერსიტეტების პროფესორთა ჯგუფი მონაწილეობდა. ამჟამად პროგრამა რეალიზაციის ფაზაშია და, ექსპერტების აზრით, უმოკლეს დროში ნიუ-იორკის ხიდები და მათი ექსპლუატაციის სისტემა მთელი მსოფლიოსთვის სამაგალითო იქნება.

იბადება კითხვა – **რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?**

აქ არსებული ხიდების საერთო მდგომარეობა ზემოთ მოყვანილი აშშ ხიდების მდგომარეობის ანალოგიურია. ამასთან, თუ საქართველოს რკინიგზაზე ხიდების მოვლა-შენახვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სისტემატური დათვალიერებების ხარჯზე ნაგებობის სერიოზული დაზიანებების მეტ-ნაკლებად დროზე გამოვლენა ხერხდება, საავტომობილო გზებზე, ასეთი ზედამხედველობის სისუსტის გამო, მდგომარეობა უფრო სერიოზულია. სერიოზულ და საფუძვლიან შეფასებას მოითხოვს თბილისის ხიდები, რათა მივიღოთ რაციონალური გადაწყვეტილება მათი შემდგომი ექსპლუატაციისა და რემონტისათვის. საერთო **მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს ხიდების ტექნიკური მდგომარეობის, მათი ტვირთამწეობის და საექსპლუატაციო საიმედოობის შეფასების ერთიანი სახელმწიფო მიდგომა და ამ საკითხების მარეგლამენტირებელი ნორმატიული დოკუმენტები.**

ამ მიმართულებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდებისა და გვირაბების კათედრაზე წლების განმავლობაში სრულდებოდა სამუშაოები ხელოვნური ნაგებობების, მათ შორის, სარკინიგზო ხიდების ტექნიკური მდგომარეობის, ტვირთამწეობისა და საიმედოობის შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. კათედრასთან არსებული ხიდსაცდელი სადგურის ძალებით უკვე შესწავლილია 300-ზე მეტი ნაგებობა, მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთაც. შესრულებული სამუშაოების შედეგად კათედრაზე ხიდების მდგომარეობის შეფასების და მათი საიმედოობის პროგნოზირების მდიდარი გამოცდილება დაგროვდა, რომელიც ფართოდ გამოიყენება კათედრის თანამშრომლების მიერ რეალური ობიექტების პროექტირებისა და არსებული ნაგებობების ექსპლუატაციის რეჟიმის განსაზღვრის პროცესში. კათედრის მიერ შესრულებული სამუშაოების მონაცემების მიხედვით საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემადგენლობაში შედის 5000-ზე მეტი მცირე, საშუალო და დიდი ხიდი (მცირეს მიეკუთვნება ხიდები სიგრძით 6-25 მ).

ამჟამად მსოფლიო პრაქტიკაში აქ-



ტიურად ინერგება „ხელოვნური ნაგებობების მართვის სისტემა", რომელიც შეიცავს მონაცემთა ბაზას ხელოვნური ნაგებობების შესახებ. ამ მონაცემების მუდმივი განახლებით სალიანდაგო სამსახურის სახაზო მუშაკები სტანდარტული მეთოდიკით და ფორმით სისტემატურ საინსპექციო შემოწმებებს აწარმოებენ, რაც ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვისა და რემონტის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებას, აგრეთვე, ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს. ნაგებობების რემონტი და ხარჯების ბიუჯეტები, სტანდარტული ინსპექტირების მონაცემთა საფუძველზე იგეგმება. ბიუჯეტის ოპტიმიზების გაანგარიშებები დიალოგურ რეჟიმში მიმდინარეობს. ეს საბოლოოდ ოპტიმიზაციის სათანადო კრიტერიუმების კონკრეტული პირობების მიხედვით შეცვლის საშუალებას იძლევა. სისტემას, ასევე, კონკრეტული ნაგებობის ცალკეული ელემენტების რემონტის საჭიროების დადგენის შესაძლებლობაც აქვს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდებისა და გვირაბების კათედრაზე ერთ-ერთი ასეთი სისტემაა დანერგილი, რომელიც საერთაშორისო კონსორციუმის მიერ მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში დამუშავდა. კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან ისეთი ცნობილი სამშენებლო-დიაგნოსტიკური ფირმები, როგორებიცაა „AGA inc (აშშ), “Промос” (რუსეთი), Cambridge sistematics, Inc (აშშ), “Ove agir and partners, Ltd (დიდი ბრიტანეთი). ამ სისტემის დასანერგად საქართველოს რკინიგზაზე, ისევე როგორც სატრანსპორტო ქსელის სხვა სტრუქტურებში, საჭიროა ფაქტობრივ მონაცემთა ბაზის შექმნა, რაც პროექტის რეალიზაციის ყველაზე შრომატევადი ნაწილია და საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობას საჭიროებს. მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ორი, – ინსპექციისა და პასპორტიზაციის ჯგუფის შექმნაა საჭირო. ინსპექციის ჯგუფი მოთხოვნათა შესაბამისად, კონკრეტული ობიექტების მიხედვით ფაქტობრივი მონაცემების შეკრებას უზრუნველყოფს. ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს სალიანდაგო სამსახურის სახაზო მუშაკების (ხიდებისა და გვირაბების ოსტატები) მიერ, რომლებმაც სათანადო სპეციალური გადამზადება უნდა გაიარონ. პასპორტიზაციის ჯგუფს, – საარქივო მასალების მოძიება, ნაგებობების პასპორტებისა და კონსტრუქციების დეტალური აღწერილობა, მათ შორის, ინსპექციის შედეგად მიღებული მასალების მონაცემთა ელექტრონული ვერსიის შექმნა დაევალება. ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს იმ სპეციალისტებით, რომლებსაც ნაგებობების გამოკვლევისა და პროექტირების საკმაო პრაქტიკული გამოცდილება აქვთ და კომპიუტერული პროექტირების თანამედროვე საშუალებებსაც ფლობენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდებისა და გვირაბების კათედრის თანამშრომლები თვლიან, რომ ზემოაღნიშნული სისტემის დანერგვა საქართველოს რკინიგზაზე სარკინიგზო ტრანსპორტზე, მენეჯმენტის თანამედროვე მიმართულებას შეესაბამება, რაც ფინანსური და სხვა რესურსების ეფექტიანი გამოყენებით, რკინიგზის საიმედო ექსპლუატაციას უზრუნველყოფს.

**თამაზ ჟურაძე,**
**სტუ-ს ხიდებისა და გვირაბების კათედრის გამგე, ტექ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;**

**თამაზ ცვარიანი,**
**ხიდსაცდელი სადგურის უფროსი.**

სპორტი

# „ქართული „მაფია“ მაკედონიაში“

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ხელბურთის არსებობის შესახებ მსოფლიომ, ფაქტობრივად, არაფერი იცოდა. ამ პერიოდში სპორტის სხვა მრავალი სახეობაც დაკნინდა. ამ დროს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხელბურთელთა გუნდი „სტუ-შევარდენი“ შეიქმნა, რომელიც მოგვიანებით საქართველოს ნაკრების საბაზო გუნდად იქცა. დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ხელბურთში საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი, იტალიის, მაკედონიის, თურქეთის, პორტუგალიის ჩემპიონი და ამ ქვეყნების თასის მფლობელი სტუ სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტი „სტუ-შევარდენის“ ყოფილი წევრი ტიტე კალანდაძე.**

***– რატომ დაინტერესდით სპორტის ამ სახეობით?***

– პირველი მასწავლებელი მამაჩემი იყო. ის ბავშვებს ავარჯიშებდა და მეც მათთან ერთად ვვარჯიშობდი, ანუ ხელბურთის „აი ია“ მამამ მასწავლა. მე-7 კლასის შემდეგ კობახიძის გიმნაზიად წოდებულ სკოლაში ვსწავლობდი, სადაც სხვა სკოლებისგან განსხვავებით ყურადღება, ძირითადად, ხელბურთს და კალათბურთს ეთმობოდა. ჩვენს სკოლაში გამოცდილი ხელბურთელებიც ვარჯიშობდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა შემომთავაზა, რომ ხელბურთში სერიოზული ვარჯიში დამეწყო. ეს შემოთავაზება ცოტა მეუხერხულა, რადგან ტრადიციულად ბავშვი ვარჯიშს მე-2 მე-3 კლასიდან იწყებს, მე კი უკვე სკოლას ვამთავრებდი, თუმცა ბოლოს მაინც დავთანხმდი.

***– როგორ დაიწყო თქვენი პირველი ნაბიჯები სერიოზულ ხელბურთში?***

– როდესაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე პირველი თამაშები ჰქონდა, მაშინ ახალბედა ხელბურთელი ვიყავი და თამაში თითქმის არ მომიწია. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდში გამანაწილეს. 19 წლის ასაკში სათამაშოდ თურქეთში წავედი, სადაც ერთი წელიწადი დავყავი. შემდეგ ორი წელი საქართველოში ვთამაშობდი, აქედან ბოლო წელს „სტუ-შევარდენში“. პირველად აქ გავხდი საქართველოს ჩემპიონი.

ჩემი საბოლოო დაოსტატება სწორედ „სტუ-შევარდენს“ უკავშირდება, რადგან ყველაზე მეტი გასაქანი მაშინ ამ გუნდს ჰქონდა, იგი საქართველოს ნაკრების ბაზას წარმოადგენდა, სწორედ „სტუ-შევარდენში“ და „გეპეიში“ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ხელბურთის აღმასვლისთვის ძალიან



**ტიტე კალანდაძე.**

ბევრი რამ გააკეთეს – ზაზა დვალიძე, ზურაბ კეკელიძე და ჯემალ ბარამიძე. რომ არა ეს ხალხი და მათი მხარდაჭერა, ალბათ, „გეპეიში“ და აქედან გამომდინარე, საქართველოში ხელბურთი საერთოდ არ იარსებებდა. განსაკუთრებული წვლილი ჩვენს დაოსტატებაში „სტუ-შევარდენის“ მთავარ მწვრთნელს, აწ განსვენებულ ყველასათვის საყვარელ ადამიანს გია ნარიმანიძეს მიუძღვის. მის სახელს უკავშირდება საქართველოს ნაკრების უდიდესი წარმატებებიც. როგორც კი იგი განზე გადგა, ყველაფერი უკან წავიდა, ეს, რა თქმა უნდა, „გეპეის“ ბრალი არ არის. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ფედერაციაში არსებული საერთო სიტუაციიდან მომდინარეობდა.

„სტუ-შევარდენის“ შემდეგ სამი წელიწადი მაკედონიაში ვთამაშობდი, სადაც მაკედონიის ჩემპიონი და თასის მფლობელი გავხდი და თასების თასის ნახევარფინალშიც ვითამაშე. მაშინ ჩემით ევროპის რამდენიმე წამყვანი კლუბი დაინტერესდა, მე არჩევანი იტალიაზე შევაჩერე და ქალაქ ტრიესტის გუნდ „კენერალში“ გადავედი, იქაც ჩემპიონი გავხდი.

***– თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრებს რა პერსპექტივა აქვს?***

– 2000 წელს ძალიან დიდი პერსპექტივები ჰქონდა, ანუ მაშინ, როდესაც ჩვენ პლეიოფში გავედით. ეს საქართველოს ნაკრების პიკი იყო, შემდეგ ზოგიერთებს ჩვენი შემდეგ წრეში გასვლა, რატომღაც, არ მოეწონათ. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ დღესდღეობით ხელბურთი ჭაობშია ჩაფლული, ჩემპიონატებიც კი არ ტარდება.

***– რაში ხედავთ ქართული ხელბურთის გადარჩენას?***

– საქართველოში ძალიან დიდი პოტენციალი არსებობს, კარგად მომზადებული ბიჭები გვყავს, მაგრამ მათ მიხედვა უნდა. მარტო მონდომება არაფერს ნიშნავს. ის ხალხი, რომლებსაც ამ საქმიანობაში სიკეთის კეთება შეუძლია, ტექნიკურ უნივერსიტეტში არიან. ამ საქმეს მათ თუ მიანდობენ, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი სანიმუშოდ იქნება. მაგრამ მარტო ტექნიკური უნივერსიტეტიც ვერაფერს გახდება. მას საქმის კეთების უფლება უნდა მისცენ. როდესაც „გეპეი“ ხელბურთით დაინტერესდა, მაშინ ჩვენ არაფერს წარმოვადგენდით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს ქართული ხელბურთის შესახებ არაფერი იცოდა. მას შემდეგ კი, როდესაც სათამაშოდ საზღვარგარეთ წავედით გვეკითხებოდნენ, კიდევ არიან საქართველოში თქვენნაირი მოთამაშეები? ჩამოგვიყვანეთო. საზღვარგარეთ ქართველები ყოველთვის გუნდის ბირთვს წარმოვადგენდით. ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო მაკედონიის თასის ფინალი. მაშინ ერთ გუნდში ოთხი ქართველი ვთამაშობდით და თამაში 24:18-ით მოვიგეთ. 24 ბურთიდან 23 ქართველებმა გავიტანეთ. მე ეს მეორე დღეს გაზეთიდან გავიგე. სტატიას კი ასეთი სათაური ჰქონდა: – „ქართული „მაფია“ მაკედონიაში“, ჩემთან ერთად გარი თურქია, ალეკო კოკოჩაძე და ირაკლი კეკელიძე თამაშობდნენ.

***– თქვენი უახლოესი გეგმები?***

– გაზაფხულამდე ვერსად წასვლას ველარ მოვახერხებ, რადგან სატრანსფერო დრო უკვე ამოწურულია. ორი აზრი არ არსებობს, რომ სათამაშოდ ისევ საზღვარგარეთ გავემგზავრები, ალბათ, ევროპაში, უფრო კონკრეტულად კი ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**ესაუბრა**
**მაია ზაგაშვილი.**

სარედაქციო კოლეგია.

რედაქციის მისამართი: 380075, თბილისი მ. კოსტავას ქ. №77, ტელ: 36-66-70, სტუ ადმინისტრაციული შენობა III სართული.

# სპორტი

◎ კალათბურთი

## ვარსკვლავთა შოუ ვერის ბაღში



**გუშინ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი) ინიციატივითა და სააქციო საზოგადოება „ალდაგის“ გენერალური სპონსორობით ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა საკალათბურთო შოუ, რომელსაც უამრავი გულშემატკივარი დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა.**

უმთავრესი, ცხადია, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ყველა ვარსკვლავის მატჩი იყო, თუმცა, პერიოდებს შორის შესვენებისას სხვა საინტერესო ღონისძიებებიც მოეწყო. კერძოდ, მიკროტურნირი კალათბურთელ ქალ-ვაჟთა მონაწილეობით. გაიმარჯვა მედეა მხეიძის, ნიკო ჩერქეზიშვილისა და დავით ბერძენიშვილის ტრიომ. სამქულიანი სროლების კონკურსში 7 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა ბასკოელი ლაშა კეშელავა, რომელმაც 16-ჯერ მოათავსა ბურთი კალათში. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: დავით თორთლაძე (15), ირაკლი ბერიშვილი (14), გოჩა წოწელია (13), რამაზ გოგობერიშვილი (13), მიხეილ ქორქია (10) და ლევან ჯიმშელეიშვილი (9).

კალათში ბურთის ჩატენვის კონკურსში 79 ქულით ვახტანგ მინაშვილმა („დინამო“) მიაღწია წარმატებას. მეორე-მესამე ადგილები 70-70 ქულით ირაკლი კეიდიამ („დინამო“) და მიხეილ ფანჩულიძემ (თსუ) გაინაწილეს. კონკურსებში გამარჯვებულები ნიკოლოზ დერიუგინმა, ნიკა ცქიტიშვილმა და ვახტანგ ნაცვლიშვილმა დააჯილდოვეს.

იხ. მე-12 გვ.



◎ ჭადრაკი

## არც ერთი ნაბიჯი უკან

**ერთდღიანი შესვენების შემდეგ ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში განახლდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. როგორც გაუწყეთ, შე-**



**ჯიბრებას 64 მოჭადრაკიდან 8 დიდოსტატიღა შემორჩა. სასიამოვნოა, რომ მათგან სამი ქართველია, თუმცა, ერთი გერმანიის სახელით მოასპარეზე.**

გუშინ მეოთხე რაუნდის პირველი პარტიები გათამაშდა და ოთხივე შეხვედრა შედეგიანად დამთავრდა. მაია ჩიბურდანიძემ თეთრი ფიგურებით 42-ე სვლაზე აიძულა ლიტველი ვიქტორია ჩმილიტე, დანებებულიყო. 40 სვლა დასჭირდა ქეთევან კახიანს (გერმანია) შავი ფიგურებით რუსეთელი ეკატერინა კოვალევსკაიას დასამარცხებლად.

ქუთაისელ ნანა ძაგნიძეს ევროპის შარშანწინდელი ჩემპიონი, ბულგარელი დიდოსტატი ანტუანეტა სტეფანოვა ეთამაშებოდა. ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილ მეტოქეს, თუმცა, 55-ე სვლაზე იძულებული გახდა, დანებების ნიშნად საათი გაეჩერებინა. ინდოელმა ჰამპი კონერუმ მსოფლიო თასის მფლობელ ჩინელ იუჰუა სიუს 36-ე სვლაზე მოუგო.

დღეს მეოთხე რაუნდის მეორე ორთაბრძოლები გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე.**

◎ ყოველი მხრიდან

## ოლიმპიადისკენ გზას გადაუკეტავენ

**როგორც ჟენევაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტმა ჟაკ როგემ განაცხადა, ათენის თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ის სპორტსმენები, ვინც შემჩნეული იყვნენ აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში.**

„სოკ-ს მტკიცე პოზიცია გააჩნია დოპინგთან დამოკიდებულებაში, – თქვა ჟაკ როგემ, – ჩვენ ოლიმპიური თამაშების წინ მნიშვნელოვნად გავზრდით დოპინგ-ტესტების რაოდენობას. და თუ ამ შემოწმებაში რომელიმე სპორტსმენი მოხვდება, ყველაზე გამოჩენილიც კი, მას დისკვალიფიკაცია არ ასცდება.“

## ხულიგნებს პორტუგალიაში რა უნდათ?

**სულ ცოტა დროღა დარჩა პორტუგალიაში ევრო-2004-ის დაწყებამდე. ბუნებრივია, ფეხბურთის უამრავი გულშემატკივარი ემზადება იქითკენ გასამგზავრებლად. თუმცა ყველა როდი მოხვდება იქ. დაახლოებით 2700 ინგლისელ გულშემატკივარს, ვინც შემჩნეული იყო სტადიონებზე ხულიგნობაში, უარი უთხრეს ჩემპიონატის დღეებში ბრიტანეთის კუნძულების საზღვრების დატოვებაზე. ამის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა შეერთებული სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.**

როგორც იუწყებიან, ყველა „შერაცხული“ მოვალეა, ჩააბაროს პასპორტი და რეგულარულად გამოცხადდეს პოლიციაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

პორტუგალიაში ჩასვლას გეგმავს დაახლოებით 60 ათასამდე ბრიტანელი გულშემატკივარი.




**ეს უზარმაზარი საათი ლისაბონის ქუჩაში დროს უკუღმა აითვლის: რამდენი დღე, საათი და წუთი დარჩა ფეხბურთში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატამდე, რომელსაც პორტუგალიამ უნდა უმასპინძლოს.**

## საფინი — სტრიპტიზიორი?

**ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღება ახლა პარიზისკენაა მიპყრობილი, სადაც დაძაბულ ბრძოლებში მიმდინარეობს საფრანგეთის ღია ჩემპიონატი.**

ხუთშაბათს დაიწყო და მხოლოდ პარასკევს დამთავრდა რუსეთელი მარატ საფინისა და ესპანელი ფელიქს მანტილიას ორთაბრძოლა, ის სიბნელის გამო გადაიდო და საერთო ჯამში თითქმის 5 საათს გაგრძელდა.

წუთი წუთზე იზრდებოდა ყოველი ქულის ფასი. მოთამაშეები ნერვიულობდნენ, ეს განსაკუთრებით რუსეთელს ეტყობოდა, ის გულმოსული ახეთქებდა ჩოგანს მიწაზე, რისთვი-



საც 500 დოლარით დააჯარიმეს.

მეხუთე სეტში რაღაც გაუაზრებელი კუთხით შეძლო საფინმა ბურთის მოგერიება და ქულის აღება. ტაშმა იქუხა. თავად ჩოგბურთელმა კი დამსწრე საზოგადოების თვალწინ შორტების ჩახდით აღნიშნა ეს. მსაჯმა მისი ასეთი საქციელი არასპორტულად მიიჩნია და 15 ქულა მეტოქეს მიაკუთვნა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე საფინმა მსაჯი იუმორის უქონლობაში დაადანაშაულა:

„ვიგრძენი, რომ გადასარევი ქულა მოვიგე და შორტების ჩახდა მომინდა. რა არის ამაში ცუდი? მაყურებლებს ხომ არ უჩივლიათ. მე მხოლოდ მათი გამხიარულება მინდოდა“, – თქვა მარატმა.

შეხვედრა საფინის გამარჯვებით დამთავრდა 6:4, 2:6, 6:2, 6:7 (4:7), 11:9.

## „შენზე ულამაზესი ქვეყნად არაფერია!“

**ბოლო ათწლეულის ყველაზე სექსუალურ ქალად, მამაკაცების ჟურნალის FHM მკითხველებმა აღიარეს ლუიზა რედნაპი, ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელის ჯეიმ რედნაპის ცოლი. ამ „მაღალი“ ტიტულისათვის ბრძოლაში მან დაჯაბნა ისეთი ლამაზმანები, როგორებიც არიან კაილი მინოუგი, პამელა ანდერსონი და კარმენ ელექტრა. ჟურნალის ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება ზოგიერთს უცნაურადაც კი მოეჩვენოს, რადგან პრეტენდენტთა სიაში ის მხოლოდ მეჩვიდმეტე ადგილზე იყო. თუმცა 1954 წლიდან ჟურნალის მიერ მოწყობილ ყოველ კონკურსში მონაწილეობდა, ახლა კი მთავარი პრიზი მოიხვეჭა.**

რაც მთავარია, ბოლო ხანებში ის ერთგვარად ჩამოშორდა შოუ-ბიზნესს, მისი ფოტოები იშვიათად ჩანს მოდური ჟურნალების ფურცლებზე, თანაც მან აგვისტოში უნდა მოიმშობიაროს.

სხვათა შორის, ფოტომოდელი ჯორდანი, რომელმაც ცნობილ სპორტსმენთან, პირველ რიგში კი, ბექჰემთან თავისი ინტიმური დამოკიდებულების ამბებით ქვეყანა შეძრა, ამ კონკურსში მხოლოდ მე-10 ადგილზეა.



◎ ვულოცავთ!

## აღიარება



**იცანით, ალბათ, ამ ფოტოზე აღბეჭდილი სპორტსმენი – ეს ალექსანდრე იაშვილი გახლავთ – საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და გერმანიის „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი, რომელიც გუშინ გაზეთ „სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვის გამარჯვებული გახდა. სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი – ასეთია ამიერიდან „იაშკას“ ახალი წოდება. დაიმსახურა კიდეც – დაგვეთანხმებით, მის გარეშე წარმოუდგენელია „ჯვაროსანთა“ თუ ალემანური კლუბის რომელიმე მატჩი. გულშემატკივარი კიდევ მრავალ გოლს ელოდება თავისი რჩეულისაგან, პოპულარული გამოცემის აღიარება კი, მოდით, ავანსად მივიჩნიოთ. წლეულს მეორე ადგილი ლევან კობიაშვილმა („შალკე“) დაიკავა, ხოლო მესამე – მალხაზ ასათიანმა (მოსკოვის „ლოკომოტივი“).**

რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, მისი ლაურეატები **დავით კვირკველია** (თბილისის „დინამო“), **ალექსანდრე გოგობერიშვილი** („დინამო-2“) და **რევაზ გოცირიძე** („ვიტ ჯორჯია“) გახდნენ.

◎ წყალხტომა

## სტარტზევე – 4 მედალი

**ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში დაიწყო წყალმხტომელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის გოგონები და ვაჟები მონაწილეობენ. მათ შორის არიან საქართველოს წარგზავნილები – სალომე ჯუღელი, სოფიკო ხუციშვილი, ნინო ყვავაძე, ჭოლა ჭანტურია, შოთა კორახაშვილი და გიორგი გევორქიანი მწვრთნელების – ალექსანდრე და ირაკლი ბართაიების ხელმძღვანელობით.**

ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენმა წყალმხტომელებმა ოთხი ჯილდო მოიპოვეს: ხუციშვილმა და ჭანტურიამ ოქროს მედლები დაიმსახურეს, კორახაშვილი და გევორქიანი „ვერცხლს“ დასჯერდნენ. დაგვეთანხმებით, სტარტზევე ამდენი ჯილდო, მართლაც, კარგი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შეჯიბრებაში ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, გერმანიის, ავსტრიის, პოლონეთის, ჰოლანდიის და სხვა ქვეყნების უძლიერესი ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობენ.

**გიორგი გაგუა.**

სპორტი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 122, კვირა, 30 მაისი, 2004 წელი.

◎ სდექ!

# სპორტული რაინდობა თუ წაქეზებული მკვლელობა?

**ჩვენნაირ ხალხს, ისევ ჩვენში, დანახვის ხატს ეძახიან. დაინახავს რაღაცას, უმალ გადმოიღებს და მას ხატად გაიხდის. რახან სოციალიზმის რკინის ფარდები დავამსხვრიეთ, რახან თავისუფალი ცხოვრების სიო დავბერეთ, მაშინვე დავიწყეთ ამ ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნორმების გადმოღება. ასე გამძვინვარდა ჩვენში ნარკომანია, პროსტიტუცია, თაღლითობა, აფერისტობა...**

**არის ჩვენში შემოპარული ფულის კეთების უფრო ცივილური, უფრო მომხიბვლელი, უფრო მომაჯადოებელი წყაროებიც: ტოტალიზატორები, კაზინოები, ბინგოები...**

**ერთი სიტყვით, დაიწყო ჩვენში ცხოვრება წესების გარეშე და აბა, რაღა უნდა გითხრათ სპორტის ე. წ. ერთ სახეობაზე — ბრძოლაზე... წესების გარეშე.**

ამ ხუთიოდე წლის წინათ სპორტის სასახლეში ცალკეული ბრძოლებიც გაიმართა. ჯერ აღრიალებული მაყურებელი უნდა გენახათ, მერე კი — სპორტული კომენტატორები, რომლებიც დიდი სიამოვნებით, დიდი ტკბობით გადმოსცემდნენ მოხრჩობის, თავში ჩაჩქუნის, თირკმელებში ცემის ეპიზოდებს...

ნახეთ, რა ლამაზია, რა საინტერესოა, რა ჰუმანურიაო...

თვით ამერიკაშიც კი — ამ უცნაურობათა, ამ მართლაც უსაზღვრო თავისუფლებათა ქვეყანაში „ბრძოლა წესების გარეშეს“ ფედერაცია მხოლოდ 1987 წელს ჩამოყალიბებულა. არა, მსოფლიოში მანამდეც არსებულა, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო დაშლილა და ცალკეულ ქვეყნებში გადაბარგებულა. ასე გადმობარგდა იგი საქართველოშიც, — გადმობარგდა როგორც ფულის კეთების და არა როგორც გართობის, დასვენების, სიამოვნების მიღების სახეობა.

ფული ვის არა სჭირდება ამ გაჭირვებულ, ამ გაჩანაგებულ საქართველოში, მაგრამ ყველა უკადრისი ვიკადროთ? პროსტიტუციის გაკვეთილები ჩინებულად ავითვისეთ და ახლა თვითმკვლელობის ლექციები ჩავიტაროთ?

დიახ, უნდა ჩავიტაროთ. ჩვენ ქართველები ვართ, მებრძოლები ვართ და სულაც ფეხებზე გვკიდია ის, თუ რა მოსდევს ამ პაექრობას საზღვარგარეთ. რახან ასეთი სახეობა არსებობს, ჩვენთანაც უნდა იარსებოს. ხალხი სისხლზე უნდა დავგეშოთ, ძარღვები ავუყმუვლოთ, კბილები ავუკაწკაწოთ... პროპაგანდა უნდა გავუწიოთ ადამიანის მოსაკლავად, ცოცხლად შესაჭმელად...

მაშინ კიევშიც გაიმართა გრანდიოზული შოუ. უკრაინაც იმხანად გამოძვრა სოციალიზმის სამყაროდან, იმხანად ეზიარა კაპიტალიზმის სიკეთეს და, როგორც იქნა, სარდაფიდან ამოვიდა ყველასაგან შევიწროვებული, უკანონოდ



გამოცხადებული „ბრძოლა წესების გარეშე“.

იქაც სპორტის სასახლეში გამართეს სანახაობა. ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი გუნდი — მსოფლიოსი და უკრაინისა. მსოფლიოს ნაკრებში ხუთი ჩემპიონი იყო, უკრაინის ნაკრებში — ქუჩის ხუთი მოჩხუბარი, ხუთი ხარკოველი „პაცანი“.

ჰო, „პაცანი“ უწოდა ამერიკელმა დუგლას დეიჯმა უკრაინელ ევგენი ზოლოტარიოვს. ოკეანესგაღმელი რინგზე წამოხურული ქურთუკით გამოვიდა, — ამ ლაწირაკის წინაშე უნდა გავიხადოო? ორ წუთში ღორივით უნდა გავაგოროო! მაგრამ, თქვენს მტერს, რაც იმას დღე დაადგა.

რამდენჯერმე ევგენი ზოლოტარიოვმა მეტოქე პარტერში მოაქცია, თავში უბრახუნა. მუშტები ჩაქუჩივით ხვდებოდა ქალას და უცნაური ხმა აღრიალებულ დარბაზსაც კი სწვდებოდა.

დუგლას დეიჯმა ველარ გაუძლო, თითი მოკაკვა და რეფერის დახმარებით ფეხზე წამოდგა. ვიდრე გამარჯვებულს გამოაცხადებდნენ, ამერიკელი კვლავ დაეცა. საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ გრძნობაზე ველარ მოვიდა და მეორე დილით გარდაიცვალა. 31 წლის ზანგს 5 მცირეწლოვანი შვილი დარჩა...

საინტერესო დეტალი: როცა დუგლას დეიჯი იატაკზე უკვე უძრავად იწვა და ევგენი ზოლოტარიოვი გამეტებით ურტყამდა, პუბლიკა გაჰკიოდა: — მიდი, დასცხე, მოკალი ბარემ!

და მოკლა კიდეც!

თუმცა ზოლოტარიოვს არავინ ამტყუნებდა, — ამბობდნენ, — დუგლას დეიჯი მოკვდა, მაგრამ იგი ევგენი ზოლოტარიოვს არ მოუკლავსო. მაშ, ვინ მოკლა, ხალხო, ბატკა მახნომ?

ნახეთ, რას გაიძახოდა უკრაინელთა გუნდის მწვრთნელი გენადი მინკი: — დუგლასი გმირია. მებრძოლის უმაღლესი ბედნიერებაა — მოკვდეს რინგზე და არა ბალიშზე. მას არ დაივიწყებს არა მარტო ოჯახი, არამედ მთელი მსოფლიო.

კიევში ჩაფრინდა დუგლას დეიჯის მეუღლე პატრიცია. მანაც მებრძოლი ქმრის სიკვდილით გული არ გადაიქანა და პრესას ასე განუცხადა: — ჩემი ქმარი უდიდესი სპორტსმენი იყო. იგი ძალზე დაღონდებოდა, თუ გაიგებდა, რომ მისი სიკვდილის გამო აკრძალეს „ბრძოლა წესების გარეშე“.

ქვრივის ამყოლები თავად უკრაინაშიც აღმოჩნდნენ: — მერე რა, ეს შემთხვევითობაა. ტრავმები მსუბუქ ძალოსნობაშიც არის და ფიგურულ ციგურაობაშიც. ამასაც თავი დავანებოთ? — ქუჩაში მიმავალ კაცს აგური არ დასცემია?

აი, როგორ ვმსჯელობთ შემთხვევითობაზე. კი, ბატონო, ქუჩაში მიმავალ კაცს აგურიც დასცემია, ფიგურულ ციგურაობაშიც ვიღაცას ფეხი მოუტეხია, მაგრამ ამდაგვარი სიკვდილი რინგზე, ათიათასობით აყმუვლებული მაყურებლის შეკვეთილ სიკვდილს შემთხვევითობა უნდა ვუწოდოთ?

კიდევ ამას ამბობდნენ, — ეს ნებაყოფლობითია, აქ მოხალისეები მოდიანო. მოხალისეები ომშიც მიდიან, მაგრამ ომი დასაგმობია, ადამიანთა გამანადგურებელია და ასეთი ომები უნდა ალიკვეთოს.

ტრაგედია უკრაინაში 98-ის მაისში მოხდა. „ბრძოლა წესების გარეშეს“ შეხვედრები კი თბილისში ივნისში გაიმართა. ვითომც არაფერი. ჩვენც დიდი ხალისით ვუყურებდით თირკმელებში ბათქუნს. ერთ-ერთი კომენტატორი კი სიხარულით გვაუწყებდა: ნახეთ, პირდაპირ დაჭმუჭნა!

საბედნიეროდ, ჩვენში მაშინ არავინ მომკვდარა, მაგრამ ტრავმები, იცოცხლეთ, ბლომად იყო. ფინალურ შეხვედრამდე მივიღეთ 16 სერიოზული დაზიანება — ტვინის შერყევა, ნეკნის მოტეხილობა, ცხვირის ძგიდის გადამსხვრევა და... ფილტვის დაჩეჩქვაც.

ღმერთმანი, კიდევ კარგად გადავრჩით. ცნობილ ძიუდოისტებსა და მოკრივეებს ხომ ჩვენ ქუჩის მოჩხუბრები მივუგდეთ? ოღონდაც ფული, ფული გაგვეკეთებინა. არ მოვიდა ამდენი ფული და ცხვირი ჩამოვუშვით, ხელი ავიღეთ „სპორტის“ ამ სახეობაზე არა იმიტომ, რომ იგი მავნებელი გახლდათ, არამედ იმიტომ, რომ წინასწარ გათვლილი კუპიურები ვერ მივიღეთ.

გენადი მინკის ბიჭებს ოფიციალურად „მარტოხელა მგლები“ ერქვათ (პირადად მწვრთნელი კი მათ სლავ რემბოებს, თანამედროვე ეროვნულ გმირებს უწოდებდა). იცოცხლეთ, ამ ტერიტორიული დავის დროს საქართველოს მგლებიც სჭირდება, რემბოებიც, გლადიატორებიც, მაგრამ მაინც — როდის იყო ქართველი კაცი ასეთი დაუნდობელი, ასეთი სასტიკი, ასეთი მოძულე თავისი სპორტული მეტოქისადმი?

კლუბი „ოქტაგონი-97“, რომელმაც მაშინ ეს ორთაბრძოლა ჩვენში შემოიტანა, გაწბილდა, ფულის გეგმები ჩაეშალა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმაც უგანა. და „სპორტის“ ეს სახეობა მინავლდა. იტყვით, მაშ რაღა გინდათო. ის გვინდა, რომ „ბრძოლა წესების გარეშე“ აფუტფუტდა, აფუტფუტდა და 23 მაისს ისევ სპორტის სასახლეში ამოძვრა.

პაექრობა დიდ რუსეთის ნაკრებს მოვუგეთ. უსაზღვროდ გავიხარეთ. ამჯერად მძიმე ტრავმებს გადავრჩით. თუმცა იმავე დღეს შეჯიბრების მართლაც გმირმა გია ჩირაღიშვილმა, რომელმაც მეტოქე ელვისებური დანარცხებით სულ რაღაც წამებში ლამის ყარფუზივით შუაზე გახეთქა, „ღამის კურიერში“ აღიარა: მე სიკვდილს უკვე ორჯერ ჩავხედე თვალებში (ალბათ, სხვა შეტაკებებს გულისხმობდა), მაგრამ არ შემშინებია, — ეს ბრძოლაა არსებობისთვის!

ჰმ, რაც თავი მახსოვს, — ქართულ ჭიდაობაზე ვლაპარაკობთ. და ეს მართლაც რაინდული სპორტული სახეობა საქართველოს ფარგლებს ვერ გავაცილეთ, უცხოეთში ვერ გავიტანეთ. სამაგიეროდ, აგერ, „ბრძოლა წესების გარეშე“. ყოველგვარი ბრძოლა წესების გარეშე კი, უზნეობაც არის და უთავობაც.

ამ ბოლო ხანს უცხოეთის ბევრ ქვეყანაში სერიოზული ბრძოლა გამოუცხადეს კრივს. შვეიცარიაში აკრძალეს სამხედრო სათამაშოების — ტანკების, ავტომატების, პისტოლეტების გამოშვება, რომლებიც ბავშვებში ძალადობის სინდრომს ნერგავს. ძალადობის? ჩვენ მკვლელობის სინდრომის ჩანერგვა დავიწყეთ. აბა, როგორ, აუცილებლად უნდა გავიაროთ ის გზა, რაც ყველა ცივილურმა ქვეყანამ გაიარა, — თუნდაც ეს გზა სისხლის ზღვაზე გადიოდეს. ამაში ჯერჯერობით მაგრები ვართ!

**ბონდო გულიაშვილი.**

◎ ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ფიცარნაგზე — მორაგბეები I ნაწილი

**ქართველი მორაგბეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ კარგი ძალისმიერი მომზადებით. ამ საქმის პიონერი, ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელი, აწ განსვენებული დავით დავითაია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დიდ ყურადღებას უთმობდა ძალისმიერ ვარჯიშებს, რომლებსაც ძალოსნობის დარბაზში უტარებდა შეგირდებს. ასევე იქცეოდნენ რამაზ სანებლიძე, დავით კილასონია, გურამ მოდებაძე და სხვები. დღეს, როცა ათლეტიზმის დარბაზები ტრენაჟორებით აღიჭურვა, მორაგბეებმა ძალოსნობის დარბაზებიდან ათლეტიზმის დარბაზებში გადაინაცვლეს. ამჯერად წარმოგიდგენთ სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ ათლეტიზმის სექციის წევრს, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულს, თბილისის „ლელოს“ მორაგბეს მამუკა კიკუაშვილს (დაიბადა 1982 წელს, სიმაღლე — 2 მ. წონა — 117 კგ.) მის ძალისმიერ სრულყოფას ათლეტიზმის ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნაზი გოგიშვილი უძღვება.**



გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს მამუკა კიკუაშვილის შესრულებით.

**1. ჰორიზონტალური სკამიდან წონის მკერდამდე ამოწევა (სურ. 1).** ამ დროს ვითარდება დელტისებრი კუნთების უკანა კონები. სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**2. ზურგს უკან სიმძიმის ამოწევა (სურ. 2).** ვითარდება ტრაპეციისებრი კუნთები და დელტისებრი კუნთების უკანა კონები. სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**3. ბლოკის ღერძის ჩამოწევა განიერი ჭიდით (სურ. 3).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**4. ბლოკის სახელურების მოზიდვა მუცელთან შეხებამდე (სურ. 4).** სრულდება 6 მისვლა 15-15 გამეორებით.

მესამე და მეოთხე ვარჯიშები ავითარებს ზურგის უგანიერეს კუნთებს.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
**ნაზი გოგიშვილის ფოტო.**













◎ კალათბურთი

# ვარსკვლავთა შოუ ვერის ბაღში

(მეთერთმეტე გვერდიდან)



რაც შეეხება ყველა ვარსკვლავის მატჩს, იგი თავიდან „ლურჯების“ (ხოშტარია, ქლენტი, ნიკოლაძე, ხეცურიანი, ბექანიშვილი, გოგობერიშვილი, კეიდია, ბაბიაშვილი, სუხიშვილი, კილაძე, მუშკუდიანი, ჯაფარიძე, მწვრთნელები — ბრაიკოვიჩი და უსტიაშვილი) დაწინაურდნენ. მესამე პერიოდის მიწურულს „თეთრებმა“ (თორთლაძე, ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი, გაბისონია, ბერუაშვილი, ორმოცაძე, კეშელავა, ტუჯანი, ბერძენიშვილი, როდუმტა, შენგელია, მწვრთნელები — კანდელაკი და ხმელიძე) წონასწორობა აღადგინეს (83:83). თუმცა, მატჩში (მსაჯები — მაჩალაძე და ბერეკაშვილი) გარდატეხა ვერ შეიტანეს და დამარცხდნენ 100:111. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ ზვიად ბაბიაშვილი ცნეს.

**მამუკა ქობალავა.**

**სურათებზე: მამუკა კეშელავა; შეხვედრის მომენტი.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

გვეკითხებიან

# როგორ მივაწვდინოთ ხმა სტრასბურგის სასამართლოს?

**პატივცემულო რედაქცია, დღევანდელი ქართული თემიდა, სისტემაში განხორციელებული აუცილებელი რეფორმების მიუხედავად, ჭეშმარიტი დემოკრატიულობითა და უზადო სამართლიანობით რომ ვერ გამოირჩევა, სამწუხაროდ, ფაქტია. ჭირს სიმართლის მიღწევა.**

**თუმცა ამ მხრივ ვერც დანარჩენი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები — ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფოები გამოირჩევიან. ვერც იქ, კერძოდ, რუსეთში აღწევენ სასურველ შედეგს სასამართლოებში დაჩაგრული მოსარჩელეები.**

**როგორც გავიგე, ერთ ასეთ გამწარებულ სანკტპეტერბურგელ მანდილოსანს, რაკი რუსეთის ფედერაციის ვერც ერთ სასამართლო ინსტანციაში, თვით უზენაესის ჩათვლით, გამართული 27 პროცესის მიუხედავად სიმართლისთვის ვერ მიუღწევია, ამჯერად უკვე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსთვის მიუმართავს, რომელსაც განსახილველად მიუღია კიდეც სარჩელი.**

**გთხოვთ, დაგვაკვალიანოთ, საჭიროებისას, როგორ მივაწვდინოთ ხმა ამ სასამართლოს?**

**დავით კეზერაშვილი,**
**ინჟინერი, თბილისი.**

**რედაქციისაგან: ვასრულებთ ბატონ დავითის თხოვნას და გაცნობებთ, თუ რა საბუთების მოგროვებაა საჭირო ევროსასამართლოში სარჩელის შესატანად. თანაც ვიმედოვნებთ, რომ ამის გაკეთება საქართველოს მოქალაქეებს არ დასჭირდებათ.**

თუ სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართვას გადაწყვეტთ, თქვენი საჩივარი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1) საჩივრის მოკლე შინაარსი;

2) ევროპის კონვენციით ან მისი ოქმებით გარანტირებული უფლებების დარღვევათა მითითება;

3) საჩივრის შემტანის მიერ გამოყენებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები;

4) ამ საქმესთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც მიიღეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, მათი მიღების თარიღის მითითებით, მოკლე შინაარსითა და ასეთ გადაწყვეტილებათა მიმღები ინსტანციების დასახელებით;

5) ამ საქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ასლები.



საჩივრის შეტანა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ხდება ან სასამართლოს ოფიციალურ ენებზე (ინგლისური და ფრანგული), ან წევრი-სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე (მათ შორის ქართული).

საჩივრის აღიარების შემდეგ, მისი წარმდგენის ყველა საბუთი უნდა ითარგმნოს სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე (ინგლისური ან ფრანგული). სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ან დადგენილებაც ასევე ამ ენებზე გამოაქვთ.

თეატრალური პრემიერები

# ნოდარ დუმბაძის გმირები სცენაზე



თეატრი ათონელზე პარასკევს მაყურებელს ვერ იტევდა. ამის მიზეზი ამჯერად სპექტაკლის — **„ადამიანებო, მე თქვენ მიყვარხართ!“** პრემიერა იყო, რომლის ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორია **გოჩა კაპანაძე,** მხატვარი — **თამარ გრძელიძე,** ქორეოგრაფი — **ნანა მახათელი,** მუსიკალური გაფორმება **გოჩა კაპანაძეს** და **რამაზ ჭურაძეს** ეკუთვნით, რეჟისორს თანაშემწეობა კი, **ლელა ბესელიამ** გაუწია.

სპექტაკლი ერთმოქმედებიანია და **ნოდარ დუმბაძის** ნაწარმოებების მიხედვითაა დადგმული. როლებში უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდები ვიხილეთ, რომლებმაც არაერთხელ შეძლეს მაყურებლის თვალზე ცრემლის აკიაფება. ეს მოგვიანებით. სპექტაკლის დაწყებამდე კი რეჟისორი გოჩა კაპანაძე გამოვიდა სცენაზე, მოსალმებისა და მობრძანებისთვის მადლობის თქმის შემდეგ მან განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა თავისი პედაგოგის, ბატონ გიზო ჟორდანიას მისამართით, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა. დასასრულ, სწორედ მას ვთხოვეთ ორიოდე სიტყვა.

**გიზო ჟორდანია:** — დღეს სასიამოვნო დღეა, რადგან ეს სპექტაკლი ჩემმა მოწაფემ დადგა. ამ თეატრში ძალიან კარგი კოლექტივია, სასიამოვნო ხალხი მუშაობს და მომავალში მეც ვითანამშრომლებ მათთან, კონკრეტულად რა თემაზე, ჯერ არ ვიცი. რაც შეეხება მსახიობებს, ესენი ახალკურსდამთავრებულები არიან და სწორედ მათ უნდა შექმნან ქართული თეატრის ხვალინდელი დღე.

**ნატალი ბრეგვაძე.**

ამბობენ, მართალია!



ლეგენდარული დიზაინერი პიერ კარდენი ივნისის დამლევამდე აპირებს თავისი კომპანიის გაყიდვას... მას იმედი აქვს, რომ კომპანიის გაყიდვის შედეგად მიიღებს სულ ცოტა 270 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ის პირი, ვინც შეისყიდის ამ საქვეყნოდ ცნობილ კომპანიას, ყველაფერ სხვასთან ერთად, დაეპატრონება კარდენის შტაბ-ბინებს პარიზში, მილანში, ბარსელონასა და პეკინში. ყოველივე ეს, ყოველწლიურ ბრუნვასთან ერთად, დაახლოებით 24 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

* * *



ჩილეს პრეზიდენტმა რიკარდო ლაგოსმა გადაწყვიტა, სერიოზულად მოჰკიდოს ხელი თავისი ქვეყნის მოქალაქეების პირად ცხოვრებას. ამ დღეებში მან ხელი მოაწერა რევოლუციურ კანონს — ქვეყანაში ამიერიდან ლეგალიზებულია განქორწინება. აქამდე ჩილეში განქორწინების ყველა მსურველი დიდ სირთულეებს აწყდებოდა. დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიაზე პრეზიდენტმა შეკრებილთ განუცხადა, რომ ეს დღე უაღრესად მნიშვნელოვანია „ჩილესა და ჩილელთა ოჯახებისათვის“.

* * *



ჯოან როულინგი კვლავ შეუდგა ჰარი პოტერის შესახებ წიგნის მეექვსე ნაწილის წერას, რომელზეც მუშაობა მან შეწყვიტა ვაჟიშვილის დაბადების გამო. როგორც მწერალმა აღნიშნა, ამ ზღაპრის დაწვრილებითი დეტალების გაცნობა მსურველებს შეეძლებათ მის ახალ ოფიციალურ საიტზე, რომელიც გასულ კვირას გაიხსნა: http://www.jkrowling.com/.

დისკუსია

# საკონსტიტუციო პროცესი საქართველოში

ახლახან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების დამოუკიდებელი ცენტრის წევრთა შეხვედრა ორგანიზაცია „აირის-საქართველოს“ იურიდიულ და პოლიტიკურ მრჩეველთან დავით უსუფაშვილთან, რომელთანაც გაიმართა დისკუსია თემაზე: „საკონსტიტუციო პროცესი საქართველოში“

დისკუსიაში მონაწილეობდნენ: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე, ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა, ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე ჯემალ გაბელია და სამართლისა და სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის სტუდენტები.

**ლადო დანელია.**



ჯანდაცვა

# მთლიანად კომპიუტერული სისტემით

დედაქალაქის ყველა პოლიკლინიკა უახლოეს მომავალში მთლიანად კომპიუტერული სისტემით აღიჭურვება და პაციენტთა რეგისტრაცია ოპერატორ-რეგისტრატორების საშუალებით განხორციელდება.

ახალი სისტემის საშუალებით ჯანდაცვის სამსახურს საშუალება ექნება, ზუსტად აღრიცხოს პოლიკლინიკებში მისულ პაციენტთა რაოდენობა და თანხების დანახარჯიც ზუსტად გათვალოს.

მალე კომპიუტერულ სისტემაში შესული სტატისტიკური მონაცემები გადამოწმდება არსებულ მასალებთან და, რაიმე დარღვევის შემთხვევაში, გარკვეული ზომები გატარდება.

თბილისში სულ 55 პოლიკლინიკაა, 30 მათგანში კომპიუტერული სისტემა უკვე მუშაობს.

**ინტერ-პრესი.**

# განცხადება

**საქართველოს პრეზიდენტის მ/წლის 18 მაისის № 171 ბრძანებულების შესაბამისად ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ლიკვიდაცია.**

**დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, ათი დღის ვადაში, მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე:**

**კრწანისის ქ. № 49. ტელ: 99-93-42.**

**საქართველოს პრეზიდენტის მ/წლის 18 მაისის № 171 ბრძანებულების შესაბამისად, ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტოს ლიკვიდაცია.**

**დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, ათი დღის ვადაში, მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას, მისამართზე ინგოროყვას ქ. № 7 ტელ: 99-98-77, 89-27-05.**

**სალიკვიდაციო კომისია.**

იქნებ, გამოგადგეთ...

# როგორ განვიკურნოთ ბრონქული ასთმისგან?

ასთმის მკურნალობა უნდა დავიწყოთ იმით, რომ თავიდან მოვიშოროთ მტვრის ძირითადი წყაროები, რომლებიც იწვევენ ალერგიას: ხალიჩები, რბილი სათამაშოები, მატყლის ან ბუმბულის საბნები და ბალიშები (სასურველია, ისინი შევცვალოთ სინთეტიკით);

წიგნები უნდა მოვათავსოთ მინებიან კარადაში;

გამოვრიცხოთ, ან შევზღუდოთ კონტაქტი ცხოველებთან;

დავდგათ ბინაში ჰაერის გამწმენდი და ყოველდღიურად მოვწმინდოთ იატაკი სველი ტილოთი.

ამის შემდეგ, ექიმი გამოწერს საჭირო წამლებს, რომლებიც უნდა მივიღოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ზოგჯერ მთელი სეზონის მანძილზეც კი. დაავადების გამწვავება ხომ ყველაზე ხშირად ხდება ნესტიანი და ცვალებადი ამინდის დროს.

ბინაში სისუფთავის დაცვის და ექიმ-ალერგოლოგის ყველა რეკომენდაციის შესრულებით, თქვენ შეძლებთ ამ დაავადების დამარცხებას.

**შპს „ტელეკომპანია მზის“ პროკურისტს ბატონ ზურაბ ზედგინიძეს შეუწყდა პროკურისტის უფლებამოსილება. დღეის მდგომარეობით საზოგადოებას პროკურისტი არა ჰყავს.**

**შპს „ტელეკომპანია მზის“ იურისტი გიორგი ჩხეიძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 122, კვირა, 30 მაისი, 2004 წელი.

**◉ პოეზია უპირველეს ყოვლისა**

# ლექსები მოძღვარი
# [illegible]

## გაზაფხულის წინათგრძნობა

**ვარიაცია**

ისევ აუვავდა ჩემ წინ ატამი,
იასამანი და აკაცია, —
მეც თითქოს ისევ ვარ ახალგაზრდა,
ისევ მარმაშის კაბა მაცვია!..

1997 წ. 17.II.

## გიორგობისთვის სევდა

... რაც მახსენდება,
უკვე შორსაა,
როგორც კვეტერა,
როგორც კატეხი...
ვარ ფანჯარასთან
ღამის ტუსაღი, —
ცაზე ჭკიდია
მთვარის ნატეხი...
რაც მიხაროდა,
უფრო შორსაა...

2000 წ. 6.XI.

## შიში...

ცაო, რა დარდი
მაწვიმე,
რა მძიმე ფიქრით
ამაგზნე, —
ანანურში
ანანური
თუ არ იქნა,
რაღა მინდა
არაგვზე...
მწარედ მოთქვამს
მდინარეში
ჩახვეული
ხვარამზე...

2000 წ. 10.II.

## წუხელ...

... წუხელ შავ წყალში
ვიარე, —
რაო, რა ხდება
ჩემს თავს?!.
შენს სახლთან
ჩამოვიარე...
გზადაგზა
ვარდი დავფურცლე,
თან გავიყოლე
ია მე, —
წუხელ შავ წყალში
ვიარე...

2001 წ. 3.I.

## თუმცა

თუმც კი დავშორდით
ფიცით და მტკიცით,
მაგრამ ჩვენ ერთხელ
მაინც შევხვდებით
ლებაისკართან
ანდა დართლოში...
მე დროს დავიჭერ
როგორც პეპელას, —
და მერე ჩავსვამ
ლამაზ ჩარჩოში...

2001 წ. 19.IX.

## სიცივე...

**... ქველთობას, მარიამობა დღეს დედოფალმა ქათიბი მოიხურაო...**

წლები გარბიან,
გაჭაღარავდი,
თუმცა გრძელდება
გამოცდა!..
— დედოფალოო, თქვი, —
თუ... წამოგცდა...
წლები გარბიან,
გავჭაღარავდით, —
ესეც ზაფხული
ორიათას პირველი წლისა!

2001 წლის ზაფხულის მიწურული.

## ზღვა და ზამთარი

მე შენს სუნთქვას
ყურს ვუგდებ, —
მთვარე შუბის ტარზეა!
ზღვაო, რომ დაგაღონა,
გაზაფხული კარზეა...
ზღვაო, რატომ
არ ღელავ...

28.I. გამთენიისას...

## 2003 წლის მისამღერი

წელი ილევა,
სევდამ იმალა, —
მაგრამ შენ
მაშინ ნახე
მოწყენა,
ოცდათერთმეტი
დეკემბერივით
ბოლო ფოთოლი
როცა მოწყდება...
...
წელი მთავრდება...

27. XII

## პირგაზაფხულის სუნთქვა

გატყობ, ზამთრის მილი
მოგიბეზრებია,
სადღესასწაულოდ
ირთვებ-იმოსები, —
უკვე მიმოზები?!

19. II.2003 წ.

## მე მახსოვს...

**ვ.ი.-ს**

მე მახსოვს თქვენი
მლიერი ტორი, —
მეგობრულად რომ
შემეხო მხარზე
ნიშნად იმისა,
დიდი ხნის
შემდეგ
რომ შემიცანით!
...
მე მახსოვს თქვენი
ვაჟკაცი ორი, —
როგორც დავითი და
კონსტანტინე
რომ იდგნენ ერთად
და ერთადვე
მოკვდნენ...
ეწამენ...
...
მე მითქვამს, —
შევლენ ისინი
ოცდამეერთე საუკუნეში
ქართველ მარტვილთა
წმინდა ნუსხაში
ვითარცა მმები
მხეიმეები...
მე მახსოვს თქვენი
მლიერი ტორი,
მეგობრულად რომ



შემეხო მხარზე,
დიდი ხნის შემდეგ
რომ შემიცანით...
მას შემდეგ კიდევ
ბევრმა წყალმა
ჩამოიარა, —
მაგრამ არც ერთი
ქართველის გულში
